

# მარტინი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი  
დაპირის ცხოვართათვის. იარ. 10—11.

გვივე ცხოვარი ჩემი წაწყმდული. მსრეთ იყოს სიხარული  
ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი  
და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 23—24

1883—1899

1—30 ღეკემბერი

**შ ი ნ ა რ ს ი:** სალიტერატურო განცოლილება: 21 ღეკემბერი 1899 წ. დეკ. დ. ლამბაშიძისა.—თბილისის  
სასულიერო სემინარიის ტაძრის დღესასწაულისა 30 ნოემბერს 1899 წ.—მწარე ფიქრები.—19 ღეკემბრის მიწის ძერის შე-  
დეგი,—პედაგოგიური შენიშვნები, ტ. ჯავარიძისა.—ჩემი თავებადასავალი.—სხდომა სამპერატორო სამეურნეო საზოგადოე-  
ბის განყოფ. ქ. ქ.—ჩი 20 ნოემბერს 1899 წ.—ნეკროლოგი, მონაზონი დედა აკეილ-ნა, ბ, ვაშაძისა.—საეკლესიო სანთო-  
ლი.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სრიბლა და მაცნეობება ძირისთიანობის სარატონებასა და კათილ-ჯეობაზე: აქ და იქ, იგავი მდიდარსა  
და ლაზარებზე.


საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფ.: საეჭვო კითხვების განმარტება.—შეწირულებანი.—რედაქციის პა-  
სუხი.—რედაქციის საგან.—განცხადებანი.

21 ღეკემბერი 1899 წ.

თი ღღის შემდეგ დარჩება მუცხრამეტე  
საუკუნის მესრულებამდე 1 წ. მაღლობა  
ღმერთს, ომელემანაც ღირს გვერ  
მოღწევად ამ ღრომდე. სრულდება  
ასი წელიწადი. ათი ღღის შემდეგ  
ჩვენი ქორონიკონი იცვლება. ღღმდე ვსწერ-

დით „ჩუქუ“-ს, ამის შემდეგ თხეი ასოს მა-  
გიერ ორი ასოთი—ჩე გამოვხატავთ წლის  
რიცხვებს.

ცოტა თბელი გადავავლოთ ამ საუკუნის  
დასაწეისს და შევიტეოთ, თუ რა იუ მაძინ  
ჩვენი ქვევანა და ან ასი წლის შემდეგ რა არის  
იგი. მეოვრამეტე საუკუნის დაძლევი ღრო  
ქართლ-კახეთისათვის უბედური ღრო იუ,  
სჩარსეთი იგლებდა ამ ქვევანას, შესანიშნავი



ირაკლი ეთხოვება ქვეუანას, მისი შვილი გიორგი მეფება და რუსეთს სთხოვს, რომ იგი მეფედ დამტკიცოს და ჯარებიც მოაშევლოს მტრების მოხაგერებლად. რუსეთის ჯარი შემოღის ქართლ-კახეთში. როგორც გარევანიისე შინაური მტრები მიჩუმდებიან და ქართლ-კახეთისათვის დგება სრულებით სხვა დრო. რუსეთის ჯარი თავგამოდებით ებრძების ქართლ-კახეთის მტრებს. ამ ბრძოლაში დიდ მონაწილეობას იღებენ და მამაცურად იბრძიან თვით ქართველებიც. დაუკლეო საქართველოში ამავე დროს სულ სხვა ამბავია. იმერეთში ამ დროს მეფობს სოლომონ მეორე, ხოლო სამეგრელოში მთავრობს დადიანი. ათას რეგას შვიდში იმერეთიც ემსრობა ქართლ-კახეთს და ერთად უკრთდებიან რუსეთს, სამეგრელოს მთავარი დადიანი ხომ იმერეთზე აღრე შეუერთდა რუსეთს. ამნაირად ირაკლის დროს და მისი მეცადინეობით დაეოფალი საქართველოს დიდი სახელმწიფო პატარა სამეფოებად შეუერთდებ რუსეთის დიდ სახელმწიფოს, რომელი სახელმწიფოისას საქართველო, თითქმის, მეფედ ნაწილს შეადგენს.

მკელ დროსა და ახალში ამ ერთი საუკუნის განმამავლობაში განსხვავებას დიდს ვხედავთ. ამ ასი წლის წინათ ვერავინ ვერ წარმოიდგენდა იმას, რასაც დღეს ვხედავთ. მაგრამ ეს უკეთეს ასეა. თითქმის უკელახედ მეტად განათლებული საფრანგეთის ხალხიც ვერ წარმოიდგინდა ამ ასი წლის წინად იმას, რაც ცვლილება და ხალხის წარმატებაც არის მათ ცხოვრებაში. ღროვას თვითი მოაქს და საუკუდმართო თუ არა გადაედობა რა წინ, იყი მიდის წინ-და-წინ. ხალხას უმეტესი ნაწილიც მისდევს ამ დროს და მიხახალებს უკან,—არავითარი კვალის დამამხნეველი...

კვითხოთ ახლა ჩვენ თავს: ჩვენ რადა კვალი დავაჩინეთ ცხოვრების ისტორიაში ამ საუკუნის განმამავლობაში? ბეჭრი არაფერი, ამ ასი წლის განმამავლობაში არც ერთი კრება არ მომხდარა საუკლესიო საქმებზე მოსალაპარაკებლად. არ შედგენილა და არ დაბეჭდილა რაიმე ძესანიშნავი წიგნი, რომ შეძლებულობას მოეხსენებიოს ეს ნალევაწი და ნამრობი, რამდენი ხენია გვაქს გადათარგმნილი თვენი და მისი დაბეჭდვაც ვერ მოგვიხერხებია. ზოგერთებს ჰკონიათ, რომ ამისთანა წიგნების ბეჭდვა მარტო სინოდული კანტორის საქმე უკას. ზოგიერთები კიდევ ვერ მიმხვდარან, რომ ამისთანა წიგნების ბეჭდვის საქმე კანტორისათვის სავალდებულო არ არის. ეს არის ჩვენი სამღვდელოების საქმე. შავრამ არიან კი დღეს ვრცელი თვენის კითხვის მსურველნი?...

გაქსთ ღვთის წევალობა სალაპარაკო და საწერი ბევრი რამ არის და საუბარსაც დიდ-ხანს გავაგრძელებდით, ჩვენო ძვირფასო მკითხველო, მაგრამ... ოქენც მიხვდებით რამ შეგვაჩერა. ამისათვის უნდა მეგწევიტოთ საუბარი, ღმერთმან მოგცათ გონება და ზოგი თვითონ მიხვდით და გამოიცანით. რა იქნება შემდეგში? ეს ღმერთმან უწევის... ასე ჩემ მკითხველო, მშვიდობით ახალ წლამდე. ღმერთმან მრავალ ახალ წელს მივაკებოსთ მშვიდობით და ბენიერებით თქვენის სამწევით, მოკეთით, თანამთავრებით და მოუკრებითურთ. ისევ ამედი ტიმერი, ეს ერთად-ერთი ჩვენი სანუგემო ჩვენს უფერულ და უკუდმართ ცხოვრებაში...

დას. დ. ლამბაშიმე.

თბილისის სასულიერო სემინარიის წევრის  
ღვერასწაულის 30 ნოემბრის 1899 წ.

30 ნოემბერი—დღე თბილისის სასულიერო  
სემინარიის ტაძრის დღეობისა, ისეთის ამბოთ იღ-  
ღესასწაულებს, რომ დღიდან ამ სემინარიის დაარ-  
სებისა ამ 83 წლის განმავლობაში არავის ახსოვს  
ამ ტაძრის დღეობის ასეთი ბრწყინვალე დღესასწაუ-  
ლობა. ამ დღეს სემინარიის ტაძარში სწირა მისმა  
მაღალ ყოვლად უსამღვდელოებისამ საქართველოს  
ექსარხოსმა ფლაბიანემ მღვდელთ-მთავრების ლეო-  
ნიდეს და კირიონის თანამწირველობით.

ტაძრის დღეობის დღესასწაულობა დაიწყო  
29 ნოემბრიდამ. ამ დღეს საღამოს ხუთ საათზე  
დაიწყო მწერი ცისკრითურთ და გათავდა ცხრა  
საათზე. მრავალი მლოცველები შეიკრიბნენ. ეკკლე-  
სია, კარილორები და კიბეები მთლად გაჭედილი  
იყო მლოცველებით. მწყობრა გალობა რუსულსა  
და ქართულს ენაზე ატკბობდა მლოცველთა სმენსა.  
დრო და დრო გალობაში მონაწილეობას იღებდნენ  
სემინარიის უცელა მოწაფენი. მწერის ცისკრითურთ  
შესრულებაში მონაწილეობას იღებდა მისი მაღალ  
ყოვლად უსამღვდელოებისამ საქართველოს ექსარ-  
ხოსი ფლაბიანე ეპისკოპოსის ლეონიდეს თანამსა-  
ხურებით.

30 ნოემბერს წირვა დაიწყო დილის ათ ს-ზე.  
მწირველი ბრძანდებოთა საქართველოს ექსარხოსი  
ფლაბიანე გორის ეპისკოპოსის ლეონიდეს, სემინარიის  
რექტორის და ინსპექტორის, დეკ. ე. ელივის, დეკ.  
ისაკ იორდანოვის და სხ. მღვდლების თანამ-  
წირველობით. განიცადენის დროს სემინარიის მო-  
ღვარმა მ. იასონ ლაბაძემ წარმოსთქვა რუსულს  
ენაზე შემდეგი სიტყვა:

„დღევანდელ დღესასწაულობას—ხსენებას ღირს  
სადიდებელი ჩვენი მფარველის და მლოცველის წმ.  
მოციქულის ანდრია პირველ წოდებულისა, რო-  
მელმაც ჩვენს ქვეყანაში პირველად იქადაგა და  
გაავრცელა ახალი ღვთაებრივი სწავლა, შეშვენის,  
რომ რამდენიმე სიტყვა ითქვას აწინდელს მისიონე-  
რობაზე, ღვთის სიტყვის აწინდელს ქადაგებაზე და  
იმაზე, თუ როგორ უცემრის საერთო წოდება ამ  
ქადაგებას.“

უნდა მაღლობა შევსწიროთ უფალსა ღმერთსა,  
რომელიც ბრძნულად განაგებს ხალხის ცხოვნების  
სქმეს, რომ სიტყვა ღვთისა დღემდე გამუდმებით

ვრცელდება მთელს ქვეყანაზე და სახარების სწავ-  
ლა სულიერ მწყებ. თა ძლიერი და მიმადლებული  
სიტყვით ვრცელდება ყველგან, სადაც კი სცხოვ-  
რებს ხალხი. თუ ერთის მხრით ჩვენ ვხედავთ ხალ-  
ხის სარწმუნოებრივ-ზნეობრივს და ეკლესიურს ცხოვ-  
რებაში არა სასურველ და ფრიად სამწუხარო მოვ-  
ლენათ—მწვალებლობას და სხვა და სხვა სექტან-  
ტების გამრავლებას, რომელიც მაინც და მაინც  
დიდად გასაკვირი არ არის, ვინაიდგან უფალი ჩვენი  
იესო ქრისტეს ქვეყნად ცხოვრების და ქადაგების  
და წმ. მისი მოციქულების დროსაც ცხოვრებლინი,  
რომელთაც ითმენდნენ, რა გასაკვირველია, რომ  
ჩვენს დროშიაც იყვეს ასეთი სამწუხარო მოვლე-  
ნა, მაგრამ ამავე დროს ვხედავთ მრავალ პირთ,  
რომელიც გულსმოღვინედ ატკელებენ ქრისტეს  
სწავლა-მოძღვრებას და ღირსეულნი მოადგილენი  
არიან მოციქულთა, ვხედავთ მთელ მწყობრთა სუ-  
ლიერ მეომართა, რომელიც იფარვენ სარწმუნოე-  
ბასა და ღვთის კეთილ მსახურებასა. ძლიერდება  
მისიონერობა, არსდებიან საზოგადოებანი და ძმო-  
ბანი, შენდებიან სამისიონერო ეკკლესიები, ხსნიან  
უფასო საეკლესიო სკოლებს, სამკიონცელოებს,  
წიგნთ-საცავებს და სხ. და ყოველივე ამას ჩატიან,  
რომ ხალხში გაავრცელონ სარწმუნოებრივ-ზნეობ-  
რივი სწავლა, რომ ასწავლონ და მოაქციონ შემც-  
დარნი და განამტკიცონ ქრისტეს ეკკლესიის ქეშ-  
მარიტინი და მორწმუნე შვილნი. ამასთანავე უნდა  
შევნიშნოთ ის თავდადებული სიყვარული და გულს-  
მოღვინება ამ დიალი საქმისადმი, რომელსაც ვამჩნევთ  
ჩვენს მისიონერთა მოღვაწეობაში. მეორეს მხრით  
თუ ჩვენ ვერ ვხედავთ ქადაგების სასურველ ნა-  
ყოფს, პირიქით ვამჩნევთ, რომ ზოგნი შორდებიან  
შართლ-მაღიდებელ ეკკლესიას, არც ეს უნდა გვი-  
ვირდეს... ძვირფასმა მაღნეულმა, რომელიც ახლად  
ამოღვინებულია მიწიდან, უნდა ძლიერი ცეცხლი გა-  
იაროს, რომ გამოიჩინოს თვისი ნამდვილი სიღიადე  
და ბრწყინვალება. ასეა ღვთაებრივი სწავლის საქ-  
მეც. მან უნდა განვლოს მრავალი განსაცდელი,  
ბრძოლა და დევნა, ვიღრემდის ჰეშმარიტება არ  
სძლებს, ხოლო ჰეშმარიტაბას ეწევა თვით მადლი  
ღვთისა, რომელიც მოქმედებს ეკკლესიის გულმ-  
დებინ მწყებსთა მეოხებით. ქადაგებითი სიტყვის  
წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ სად და ან რო-  
გორნიადაგზე ითესება ღვთაებრივი სწავლის კეთილი

თესლი. დავარდა თუ არა იგი რბილსა და მომზა-  
დებულს ნიადაგზე, ანუ ქვიანსა და ეკლიანს ნია-  
დაგზე. ე. ი. როგორ უცექრის ხალხი ქადაგებითი  
სიტყვას, როგორ ისმენენ ქადაგებას?..

უსწავლელი ხალხი ანუ ცოტად ნასწავლი,  
რომელსაც აქვს მტკიცე სარწმუნოება და სასოე-  
ბა ღვთის მოწყალებისა, გულსმოდებინედ დაიარება  
ტაძრებში და ისმენს თავისი სულიერი მწყემსის  
სწავლა-დარიგებას და აჩევათა, რომელნიც დაფუძ-  
ნებულნი არიან ღვთის სიტყვაზე. მაგრამ არიან  
ისეთებიც, რომელნიც ისმენენ ღვთის სიტყვას და  
ქადაგებას ისე, როგორც ერთხელ უსმენდენ წმიდა  
მოციქულს პავლეს ბერძნები—ათინელნი. განსხვა-  
ვება მხოლოდ ის არის, რომ განათლებულნი ათი-  
ნელნი იყვნენ კერპთაყვანისმცემელნი, ხოლო ჩვენი  
ქრისტიანები არიან მართლ-მალიდებელნი. ათინელთ  
ქადაგების ნება მისცეს წმ. მოციქულს, რომ ამით  
მათ დაეკმაყოფილებიათ თავიანთი ცნობის-მოყვა-  
რეობა და არა მიტომ, რომ შეეგნოთ ქრისტეს  
სწავლა. რაღაც ამის მსგავსს ვხედავთ ჩვენს დრო-  
შიაც, სახელდობრ ცხადათ ვნიშნავთ ხალხის გულ-  
გრილობას, დაუდევრობას და გულციობას ღვთის  
სიტყვისა და ცხოვნების საქმისადმი. ხოლო ცხოვ-  
ნების საქმე ხომ ცველა კაცისათვის ერთი და იგივეა,  
რა წოდებისა და მდგომარეობისაც უნდა იყოს იგი?

არის ერთი გამოცდილი საშუალება, რომელიც  
გამომფხიზლებელია დაუდევნელთა და გულცივთა,  
მაგრამ ეს საშუალება სანატრელი არ არის. მე აქ  
სახეში მაქეს უბედურებანი, რომელნიც შეემთხვე-  
ვიან კაცთა ცხოვრებაში და რომელნიც მოაგონე-  
ბენ კაცთა ღმერთსა, ეკკლესიასა და ლოცვას. მაგ-  
რამ, ვიმეორებ, ეს საშუალება არავისთვის სა-  
სურველი არ არის, ხოლო სასურველი კია, რომ  
კაცს მუდამ ახსოვდეს ღმერთი და ეკკლესია მაში-  
ნაც კი, როცა ის ბედნიერად ცხოვრებს. თუ კაცი  
აღიდებს უფალსა, როცა იგი კეთილ დღეობაშია,  
ხოლო როცა სისაწყლეშია—მოთმინებით იტანს  
მწერხარებას და სასოებს ღმერთზე, ღმერთი ეწევა  
ასეთ პირთ. ამინ!“.

წირვის გათავების შემდეგ გადაიხადეს სამად-  
ლობელი პარაკლისი წმ. მოციქულის ანდრია პირ-  
ველწოდებულის სახელზე. პარაკლისი შეასრულა  
საქართველოს ექვარხოსმა ფლაბიანემ მღვდელთ-  
მთავრების და თითქმის მთელი ქალაქის სამღვდე-  
ლოების და ზოგიერთი მღვდლების თანამსახურე-  
ბით, რომელნიც ამ შემთხვევისათვის ჩამოსულიყ-  
ნენ იმერეთის ეპარქიიდან.

ტაძრიდან ექვარხოსი და საპატიო სტუმრები  
ჩატენე მიიპატიე სემინარის რექტორმა არქიმანდ-  
რიტმა გერმოგენმა. შემდეგ სტუმართ მოყვარე მას-  
პინძელმა მიიპატიე სადილზე ექვარხოსი, საპატიო  
სტუმრები და სემინარის მასწავლებელნი. ცველა  
სტუმრებისათვის სუფრა გაშლილი იყო სემინარის  
მოწაფეთა სასადილო ოთახში. ჩემს სიცოცხლეში  
არ მინახავს მსგავსი სურათი. მოწაფეებმა ერთად  
იგაღობეს სადილის წინ სათქმელი ლოცვა, შემდეგ  
სუფრის კურთხევისა მისი მაღალ ყოვლად უსამღვ-  
დელოებობა ექვარხოსი დაბრძანდა სუფრის თავში.  
სუფრის ერთ მხარეზე ჩამწკრივლენენ სტუმრები და  
სემინარის მასწავლებელნი, ხოლო სუფრის მეორე  
მხარეზე — სემინარის მოწაფენი. პირველად მამ  
რექტორმა აღლევრებელი ექვარხოსი, შემდეგ დალიე  
მ. რექტორის სადღეგრძელო. მესამედ აღლევრებ-  
ლეს სემინარის მეუფროსენი, მასწავლებელნი და  
მოსწავლენი. შემდეგ დარიეს სტუმრების სადღეგრ-  
ძელო. სადილი გაგრძელდა ნაშუადღვევის ორ საა-  
თმდე ტკბილს მუსაიფში. ბოლოს მისმა მაღალ  
ყოვლად უსამღვდელოებობამ ლოცვა-კურთხევა გა-  
დასცა ცველა იქ დამსწრეთ და გამობრძანდა სასა-  
ლილო ოთახიდან.

შეგვიძლია თამამად ვსთჭვათ, რომ თფილ. სემინარი-  
ის ცხოვრებაში ამ დღეს მოხდა ისეთი საყურადღებო  
ფაქტი, რომელიც არყოს უნახავს დღიდგან ამ სე-  
მინარის დაარსებისა. სწორეთ სასიამოენო სანახავი  
იყო, როცა მათ მაღალ უსამღვდელოებობას, საქარ-  
თველოს ექვარხოსის ფლაბიანეს სხვა სტუმრების  
ერთად გვერდით უსხდნენ ხსენებული სემინარის  
ცველა მოწაფენი. ჩემის აზრით, სემინარის მოწა-  
ფეებმა ოქროს ასოებით უნდა აღნიშნონ ის ადგი-  
ლი, სადაც ისხდა მათი მეუფება და მოწაფეებიან  
ერთად შეექცეოდა სადილს. ასეთი მამაშვილური  
დამოკიდებულება არსებობს მხოლოდ იქ, სადაც  
სუფრეს კეშმარიტი ქრისტიანული სიყვარული, სა-  
დაც მეუფროსენი მუდამ ქრისტიანული ღოთვლი-  
ლებით და სიყვარულით ხელმძღვანელობენ. სწო-  
რეთ დიდ ბედნიერებას შეადგენს სემინარისა და  
მისი მოწაფეებისათვის ისეთი უფროსების ყოლი,  
რომელნიც მკაცრად ასრულებენ თავიანთ მოკალე-  
ობას, მაგრამ ამავე დროს აღჭურვილნი არიან ჟეზ-  
მარიტი ქრისტიანული სიყვარულით მოწაფეთაღმი და  
მუდამ თავის მოწაფეების დღე-კეთილობაზე ფიქ-  
რობენ.

სადილის შემდეგ ექვარხოსმა ინახულა სემი-  
ნარის ინსპექტორი მ. ბერ-მონაზონი დიმიტრი და  
შემდეგ წაბრძანდა თავის ბინაზე.

ამ დღეს, საღამოს 7 საათზე დანიშნული იყო  
სემინარიაში ლიტერატურულ-მუსიკალური დადგ.

ლიტერატურულ-მუსიკალური დილისათვის

დარბაზი ხელოვნურად და საუცხოვოდ იყო მორ-  
თული. ზალაში დასავლეთით ამაღლებული აღგაღლი  
შვენივრად იყო მორთული მწვანე მცენარეებით. მწვანე  
ფოთლებშეა მოსჩანა უნენ სურათები ხელმ-  
წიფე იმპერატორისა, იმპერატრიცა აღლექსანდრა  
თეოდორეს ასულისა და იმპერატრიცა მარიამ თე-  
ოდორეს ასულისა. სურათების ზემოთ დატნის მწვანე  
ფოთლებით დაწერილი იყო; „ღმერთო, დაითარე  
მეცე“ საღამოზე დაესწრო მათი მეუფება ფლაბია-  
ნე. დიაფზე გარდა სემინარიის მსწავლებლებისა  
და მოწაფეებისა დაესწრონ მრავალი მღვდელ-მო-  
სამსახურები და საერო პირნი.

დილაზე გალობდა ორი გუნდი მგალობელთა  
რესულიდ და ქართულად. წაკითხულ იქმნა მრა-  
ვალი ლექსები ქართულსა და რუსულს ენაზე.

სე შვერინიურად დღესასწაულობა თბილისის  
სემინარიის ტაძრის დღეობისა სასიამოვნო არის  
როგორც ამ სემინარიის მოწაფეთათვის ისე მათი  
შშობლებისა და მონათესავეთათვის. დიახ, დღეკე-  
თილობა სემინარიისა, მამა-შვილური განწყობილება  
მეუფროსეთა, მასწავლებლოთა და მოწაფეთა შო-  
რის ყოველთვის სასიამოვნო და სასიხარულო  
მოსწავლეთა შშობლებისათვის, ხოლო არა სასია-  
მოვნო დამკიდებულება მათ შორის სამწუხაროა  
და სავალო შშობლელთათვის.

ყველა ამ ნათქვამის შემდეგ მსურს ორიოდე  
სიტყვა გიძლვნათ ოქვენ, სემინარიის მოწაფეთ.

როცა თქვენ ეხლანდელს მდგომარეობას რო-  
გორც ნივთიერად, ისე აღზრდით და გონების გან-  
ვითარებით ვადაებ იმ დროს და იმ მდგომარეო-  
ბას, როცა მე ესწავლობდი ამ სემინარიაში 1861—  
1867 წ. წლამდე, სწორეთ მეხარბება თქვენი ეხლან-  
დელი მდგომარეობა. ამიტომაც თქვენ უმეტესად  
მოვალენი ხართ ჯეროვანად მოიქცეთ. საუკეთესო  
და ნამდვილი დამსახურებითი სია მამებისათვის არი-  
ან მათი შეილები, და თუ ეს სხვა, თქვენი საღმრ-  
თო მოვალეობაა დაიცვათ მშობლების პატივი და  
გაამართოთ მათი იმედი თქვენზე. თითოეული  
თქვენგანი ჟემდევში იქნება სულიერი მწყემსი და  
ამიტომ ახლავე უნდა კარგად შეიგნოთ თქვენი  
მომავალი დანიშნულება და ახლავე უნდა შეიმუ-  
შავოთ ის ზნეობრივი, გონებითი და სულიერი თვი-  
სებანი, რომელნიც საჭირონი არიან თქვენთვის,  
რომ ღირსეულად შეასრულოთ მღვდლობის დიდი და  
ძნელი მოვალეობა. ჭეშმარიტი და ღირსეული კაცი  
ის არის მხოლოდ, ვინც ცხოვრებაში თავისი ცხოვრე-  
ბით და მოქმედებით ანხორციელებს იმ მაღალ იღე-  
გბს, რომელნიც მან შეიძინა ტეოლოგიულად სასწავ-  
ლებელში, და ვინც თავის მოვალეობას ასრულებს  
მხოლოდ საქმით და არა მარტო სიტყვით. მომავა-  
ლი თქვენი მსახურების გზა ეკლიანი და მოსაწყენია,

მაგრამ თქვენი საქმე არის წმინდა და მაღალი  
და ამიტომ არავითარება დაბრკოლებამ და გაჭირებამ  
გული არ უნდა იგიყაროსთ თქვენ ამ წმინდა  
და ლილი მოვალეობის შესრულების საქმეში. თქვენ  
საქმე გექნებათ უბრალო ხალხთან, რომელიც არის  
ბურჯი სახელმწიფოსა და სამშობლოისა, ეს ხალხი  
უნდა აღზარდოთ თქვენ ზნეობითად და გონებით.  
და ამაზე უკეთეს ნეტავ რას გააკეთებს კაცი თავის  
სიცოცხლეში? მართალია, მღვდლის მოლვაწეობა  
ზოგიერთ სხვა თანამდებობასავით თვალ-საჩინო არ  
არის და არც ლიდი სახელი და დაწინაურება მოე-  
ლის სულიერ მწყებს, პირ იქით ბევრნი ზიზლითაც  
უყურებენ მღვდლებს და მათი სამსახური ფუჭათ  
მიაჩნიათ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ თქვენა საქმენი  
საუკუნონი არიან და უფრო გამოსაჩენი ქვეყნის სხვა  
მოლვაწეთა ბრწყინვალე საქმეებზე.

ამიტომ თქვენი გონებითი წარმატება ასე სა-  
სიხარულო და საიმედოა ყველასათვის, ხოლო უ-  
წავლელობა და ცუდი საქციელი სამშუაროა  
ყველასათვის, რომელთაც ესმით თქვენი მომავალი  
მოღვაწეობის სიღიადე. ამას ნუ დაივიწყებთ და  
მუდამ ეცადეთ, რომ თქვენი მოქმედებით სიხარული  
და ნუგეში სცეთ სამშობლოს და არა მწუხარება.  
რომელნიც თქვენ შორის უფრო გონიერი და  
ჰკუიანებია, მათ უნდა დაარიგონ თავიანთი სუსტი  
აზხანაგები. მოერიდეთ ყოველივე შეცდომას, რომე-  
ლსაც შეუძლია თქვენი ჰქეშმარიტი გზიდამ აშორება  
და დალუპვა. ქვეყანაზე ცხოვრებენ კაცები და არა  
ანგლოსები. კაცებ შორის მრავალნი არიან ისეთები,  
რომელთაც შემცვარი და უკულმართი აზრი აქვთ  
როგორც ღმერთზე ისე ქვეყანაზე და კაცის დანი-  
შნულებაზე. როცა ასეთ კაცთა საზოგადოებაში  
მოექცევით, არ შეიძლება, რომ ასეთმა პირებმა  
თქვენზე ცუდი გავლენა არ იქონიონ, მაგრამ ბრძან  
ნუ ერწმუნებით მათ სიტყვებს და რჩევათ. მტკიცეთ  
დაადევჭით იმ სწავლის, რომელსაც იძენთ თქვენს  
სასწავლებელში, ვინაიდგან ეს სწავლა დაფუძნებუ-  
ლია ქრისტეს ღვთაებრივ სწავლაზე, რომელიც შე-  
ფერის კაცის ბუნებას. თუ ასე მოიქცევით, მაშინ  
თქვენ გაამართლებთ იმ იმედს, რომელსაც მოელის  
თქვენგან ეკკლესია და სამშობლო. თქვენ თქვენი მოქ-  
მედებით უნდა გაამტკუნოთ ზოგიერთ პირთა შემც-  
დარი აზრი თქვენზე, იმ პირთა, რომელნიც ამცი-  
რებენ საზოგადოებაში თქვენ სამსახურს. ეცადეთ,  
რომ გაამართლოთ თქვენი აღმრჩდელების იმედი,  
სახელი მოუპოვოთ თქვენს სასწავლებელს და ნუგე-  
ში სცეთ მშობლოთ და გამოხვიდეთ სასარგებლო  
წევრნი ეკკლესიისა და სამშობლოისა.

## მწარე ფიქრები.



მდენი მწარე ფიქრები მოგროვდა, რომ ყავლიად შეუძლებელია მათი ახალს წელიწადში გადატანა. დეյ, ეს მწარე ფიქრებიც გაჰყვეს ბარემ ამ უბედულს ძველს წელს, რომელსაც ჩვენთვის არა-ფერი სახარბიელო არა მოუტანია-რა. რა ამბებით შევეგებეთ ამ წელს, რა იმედები გვებადებოდა თავში და როგორ გაგვიცრუვდა ყველაფერი!.. იმ დროს, როცა გაკეთებას მოველოდით, ვიღაცა ოხერმა გამოაცხადა, რომ 13 ნოემბერს, რომელიღაც ზეციური მნათობი დატაკება ჩვენ ქვეყანას და დაიქცევაოდა ამ ქვეყნის დასასრულიც ეს იქნება! გულში ვამბობდი, მადლობა ღმერთს, ამით მაინც მოეღება ბოლო ჩვენს უბედურ ქვეყნიურ ბოროტებასა-მეთქი, ამდენ ჩხებს და ლანძღვა-გინებას ბანკების კრებისა გამო, დაუსრულებელ პოლემიკურ ლანძღვა-გინებას სხვა-და-სხვა დასთა შორის-მეთქი. მაგრამ ი ცამეტი ნოემბერიც წავიდა, არც ქვეყანა დაქცეულა და არც ერთი ზეციური მნათობი არ დატაკებია ჩვენს ცოდვილს ქვეყანას. ყველანი მშვიდობით გადავრჩით. ორ-სამ ადგილის რკინის გზაზე მატარებლები დატაკენ ერთმანეთს და ერთიც ძეგვის ხიდზე გადავარდა— მაგრამ ეს ზეციური მნათობის დატაკების ბრალი კი არ იყო, არაშედ რკინის გზის გამგეოა შეკომა და გაუგებრობა. ეს იქიდან სჩანს, რომ როგორც «კავკაზი» მოგვითხრობს, რკინის გზის მმართველობას. უკვე მოუხდენია განკარგულება და კეთილ უნებებია გამოცხადება: „ამიერიდგან რკინის გზის სადგურების უფროსებმა ყურადღება მიაქციონ რკინის გზის ორთქლმავალის მიღებას და გასტუმრებას თავისი სადგურებიდან“. როგორც პგაც, აქამდისინ არ ჰქონებიათ გამოცხადებული ეს!.. დიახ, ესეც დიდი მოწყალება არის მათვან...

\*\*

ბეღნიერი იყო ჩვენი მხარე ამ წელში. რამდენიმე მინისტრმა გააბეჭდინერა იგი თვისი მოგზარობით. მათ გარდა ამ წელში ეს მხარე დაათვალისერა ას თუთხმეტმა მოგზაურმა ფრანგმა. ამ წელ-

შივე დაარსდა ესრეთ წოდებული „სტრაჟა“. ჯერეთ ვერ გაგვიგია კარგად, თუ რისთვის დააწესდა ეს „სტრაჟა“ და ამ რა უნდა აასრულოს მან—არ ვიცით. ამბობენ ზოგიერთები, რომ ამიერიდგან ჩვენს მხარეში ქურდობა და ავკაციობა მოისპობა. ლმერთმან ჰქმნას, მაგრამ...

\*\*

წარსულ წელში გამოცხადდა, რომ „პრაგონის“ ფულები არ ეყოთ ყველა მოსიარულეთა და 200 ათასი მანეთი კიდევ უნდა მოემატოს. რკინის გზების გაყვანის შემდეგ მილეთის ფული თანდა-თან კლებულობს და რატომ უნდა მოემატა „პრაგონის“ ფულს? ვერ გაგვიგია. ამბობენ, რომ ზოგიერთი მოსიარულე პირები ისევე ცხენებით დადიანო, ცხენების ანგარიშზე ილებენ „პრაგონსაო“. რასაკვირველია, ეს უფრო სასარგებლოა ანგარიშისათვის!...

\*\*

მთაწმიდაში ვარ და ვუყურებ ხალხის გროვას, რომელიც განსვენებული დიმიტრი ყიფიანის ძევლის კურთხვევაზედ დასასწრებლად მოსულა. აქ შეუყრია თავი შორე ადგილებიდან მოსულებს, რასაკვირველია, განსვენებულის პატივისაცემლად, მაგრამ ხალხში დგანან ისეთებიც კი, რომელნიც მაგდენად პატივს არ სცემინ განსვენებულს. მაშ ესენი რაღათ მოსულან? ხალხის პატივისცემისათვის, ხალხის თანაგრძნობის მოსაპოებლად!.. წირვა გათავდა და მღვდელთმთავრები მღვდლებითურთ წამოვიდნენ სასაფლაოსაკენ. დაიწყო პანაშვიდი. პანაშვიდი დააშვენა მუხლმოღრეკით ლოცვამ. ლოცვა შვენიერი შინაარსისა არის. მთელმა ხალხმა უფალს შევეღრა სული გარდაცვალებულის დიმიტრი ყიფიანისა და ისურვა განსვენებულის დამკვიდრება წიაღსა შინა აბრაამისასა. გათავდა პანაშვიდი. ძეგლის კვარცხლბეკი დაფარულია გვირგვინებით. მღვდელ-მთავრები პანაშვიდის გათავებისათანავე სამღვდელოებითურთ წაბრძანდენ. ხალხი სლუმს და დგას. . .

ამ დროს ერთ ამაღლებულ ძეგლზე, თითქმ კათედრაზე, შედგა პ. რატიშვილი და დაიძახა: „ბატონებო!“ დაიწყო სიტყვა. სიტყვაში გამოთქვას აზრი, რომ ველურმა ხალხმაც კი შეიგნო თავით გარდაცვალებულთა საფლავების ძეგლებით შემკობა, ჩვენ კი ჯერეთ კიდევ არ შევგიგნია ეს პატივისცემა გარდაცვალებულთა მოღვაწეთაო. ჩვენი შესანიშნავი არქეოლოგი დიმიტრი ბაქრაძე ისე

უბრალოთ არის დამარხული, რომ მის საფლავზე არავითარი შესაფერისი ძეგლი არ არისო. ამ სიტ-ჟვეზე მე უნდღიერ მომაგონდა „ივერიის“ მოქ-მედება....

ავილოთ თუგინდ განსვენებული დიმიტრი ყიფიანის ძეგლის კურთხევა. კურთხევა ძეგლისა დანიშნული იყო 24 ოქტომბერს. «ივერიაში» გამოაცხადა, რომ ძეგლის კურთხევა 25 ოქტომბერს იქნება. რომ ხალხს დაეჯერებინა „ივერიისათვის“, არავინ არ უნდა მისულიყო. ამისთვის, რომ 25 ოქტომბერი იყო და არა კვირა. „ივერია“-მ ბევრი ხალხის შეკრება ძეგლის კურთხევაზე ახირებულად მოიხსენა. და რისაგან სჩინს ეს? იკითხავს მკითხველი. წაიკითხეთ „ივერიის“ იმ დღეს გამოსული ნომერი. «ხალხი მართალია ბევრი იყო, მაგრამ უფრო მიტომ ამოვიდნენ მთაწმილის ეკკლესიაზე, რომ კარგი ამიდი იყო და ისე გაისცირნეს». ამ სიტყვების დაბეჭდვა რა საჭირო იყო?.. ვერ გაგვიგია.

\*\*

ერთ ძევლს ნაცნობს თანამოძმეს შევხდა და, ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ ვკითხე: ხომ მშვიდობით ბრძანდებით, ხომ კარგი განწყობილება გაქვსთ მრევლთან? ხომ კმაყოფილი ხართ მათი ქცევით და ცხოვრებით?

— მაღლობა ღმერთს, მშვიდობით გახლავართ, მოშიგო მან, ჩემისთანა მრევლი, ვვონებ, არავის პყავდეს. მშვენიერი განწყობილება გვაქვს ურთიერთ შორის. ორჯერ მეტად რომ არ ვსწირო წელიწადში, არ ითქიროთ, რომ ვინმე მიჩივლოს საღმე, ისე ვუყვარვარ მთელს მრევლს. ამ სიტყვებზე ჩემ გულში ვთქვი: დიახ, კარგი „განწყობილება“ გქონებიათ-მეთქი!..

\*\*

— რა უურნალები გაქვსთ გამოწერილი, ვკითხე მეორე მოძმეს, რას კითხულობთ უფრო?

— შე დალოცვილო, ხად არის უურნალებისათვის საკითხავი დრო, მომიგო მან, უურნალების კითხვა ხომ მოცლილი კაცების საქმეა. ხანდისხან ათ ადგილის უნდა მიკიდე მრევლში სულის საქმეზე, საღამომდინ დავრბივარ და შინ ისე დაღალული მოვდივარ, რომ მკვდარივით დავევდები და ვიღის შეუძლია უურნალების კითხვა?

— რა სულის საქმეს ასრულებ მრევლში ათ ადგილის, ვკითხე მე.

— უხრებია საკურთხი, მომიგო მან.

— ახლა კი მესმის რა სულის საქმეც ყოფილა, ვუთხარი მე. თუ სულის საქმეს აგრე გლეხის სახლებში ასრულებთ, რასაკვირველია, დრო ილარ გენებათ უურნალების კითხვისათვის... რაიცა შეგხება იმას, ვითომც უურნალ-გაზეთების კითხვა მარტო მოცლილი კაცების საქმე იყოს, ეს შემცდარი აზრია... .

\*\*

ველარა გამიგია რასწორეთ ამ ჩვენი პუბლიცისტისტორიკოსების! ნათქვამია ერთი ჭუკიანი კაცისაგან: «აბა, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო». სწორეთ ეს ჩვენს ისტორიკოსებსა და პუბლიცისტებზე არის ნათქვამი. ჯერეთ მოჰყვებიან ქადილს და ტრაბახობას, ჩვენ ასეობი ვიყავით და ისეთებიო. ჩვენ ინდოეთის მეფეებს ხარეთ დავადევოთ და მთელ ქვეყანაზე ვბრძანებლობდითო. ამას რომ ერთ დღეს გაიძინოან, მეორე დღეს მოჰყვებიან სულ სხვას. 15 საუკუნე სპარსელების ბრძოს ვეოშეთ, დღე და ღმე განსვენება არა გვქონდა, დაგვრიეს ძალა, მაგრამ ჯვარი შევირჩინეთ ხელში და ჩავაბარეთ ჩვენი თავი რუსეთის მფარველობასათ. „რუსეთს უნდა მოეგერებია მტერი და არავისთვის არ მიეცა ნება, რომ ქართველების მეფეს შეცილებოდა ვინმე სამეფოში. მას უნდა ემეფებია და შემდეგ მათ მემკვიდრეებსაო“. როგორ შეიძლებოდა ეს? საქართველოს თავისი მეფე ყოლებოდა და თვითონ განევო სახელმწიფო, რუსეთს მხოლოდ ჯარები უნდა გამოეგზავნა და მტრები არ შემოეშვა საქართველოში? ვს როგორ შეიძლებოდა? ბარემ ის არ ჯობს პირდაპირ სთქვან ჩვენმა პუბლიცისტებმა, რომ ხალხს სურდა რუსეთთან შეერთება და კიდეც შეუერთდენო? არა, ზოგიერთებს არ უნდათ გამოაქვეყნონ შინაური ნაკლულება-ნება ჩვენიანებისა და ამისათვის ისეთ რამეს ამბობენ, რომელიც არ ყოფილა და იმით ისტორიულ ფაქტს ამასინჯებენ. მაგრამ რა გაეწყობა, ნათქვამია, ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო!.. ყურადღების დამსახურებისათვის მაღლობა ღმერთს, რომ მეტს ილარ ჩადიან!..



## 19 დეკემბრის მიწის მურის შედეგი.

ახალქალაქიდგან საშინელი ამბები მოდის იმ უბედურების შესახებ, რომელიც მოახდინა 19 დეკემბრის მიწის ძვრამ. ბარალეთის საბოქაულოში ნახვარზე მეტი ყველა შენობებისა დანგრეულია. როგორც ამბობენ 600-დე კაცი უნდა იყოს დამუშავები. ნავაგინის პოლკის ორი ბატალიონი მუშაობს და ჩერეკს ნანგრევებს. ოთხი კაცი ცოცხალი აღმოუჩენიათ ნანგრევებ ქვეშ. დანგრეულ სოფლებში გაგზავნილ იქმნა ექიმები და ფერშლები წამლებით. მიწის ძვრას, როგორც უკანასკნელ ცნობებიდგან სჩანს, დაუნგრევია სრულიად 6 სოფელი და ნახევრად შვილი, სულ 13 სოფელია დაზიანებული. ხალხი მეტად გაჭირვებულია.

ყველა გაზეობებს მოდის ტელეგრამებით და შერილებით ცნობები ახალ ქალაქში მომხდარ უბედურებაზე მიწის ძვრით. აი რას იწერებიან გაზეობი და ნამდვილად აღმოჩნდა ხმები.

საშინელი უბედურება დატრირიალებულა ახალ ქალაქის მაზრაში. ოვით ახალ ქალაქში მიწის ძვრა ყოფალია 2 ს. და 5 წ. სუსყველა შენობა ძლიერ შერყეული; ბევრი მათგანი იძლენად დაზიანებულა, რომ საცხოვრებლად აღარ გამოდგება. მაზრაში 10 სოფელი მიწასთან გაუსწორებია მიწის ძვრას: რამდენიმე ათასი გლეხი უსახლ-კაროდ და ულუკმაპუროდ დარჩენილა; მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი ბევრია. მრავალი მსხვერპლი ნანგრევებ ქვეშ არის ჯერ. უმეტესად დაზიანებულია ბარალეთის საბოქაულო. დაინგრა ათი სოფელი: ბევრა, ალათუბანი, კოჭიო, იხთილა, მერელია, გოსზალარი. სამსარკისალი, დიდი ალაფთერი, არაგავა და მაჯალია. დაიღუპა დიდალი საქონელიც. მცხოვრებთ უნუგეშო მდგომარეობას ვერ ასწერს თურმე აღამინი. არის ყოველგან ტირილი და ვაის ძახილი, უსახლკაროთ და ულუკმაპუროდ დარჩენილის ხალხის მწუხარება ქვასაც ცრემლს მოჰვრის! უბედურება ორკეცდება თურმე იმით, რომ დაზიანებულს მაზრაში მეტად სუსტიანი ზამთარია და ხალხი ისედაც გაჭირვებული იყო. საჭიროა დაუყოვნებლივ დახმარება.

მთავარ-მართებლის თავ. გ. ს. გოლიცინის ბრძანებით ტფილის გუბერნიის მმართველს ი. ნ.

სვეჩინს ტელეგრაფით გაეგზავნა 3000 ბ. ახალქალაქის მაზრის დაზიანებულ მცხოვრებთათვის დასარიგებლად. გარდა ამისა მთავარ-მართებელმა ნება დართო, რომ დაზარალებულთ სესხი მიეცეს სამეურნეო თანხიდან, რომელიც დანგრეულ სოფელთ ეკუთვნის.

ტფილისის საკომერციო ბანკმა 3000 მანათი შესწირა ახალ ქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ახალ ქალაქიდგან დეპეშებით იტყობინებიან: 22 დეკემბერს, დილის ათ საათზე ქალაქ ახალქალაქში და მაზრის ზოგიერთ სოფლებში კვლავ იყო მიწის ძვრა. მიწა სუსტად შეირყა, მაგრამ წარსულის მიწის ძვრით დაშინებული მცხოვრებინი მცხოვრებინი საშინლად შეშინდნენ და გარეთ გავარდნენ.

წარსულ მიწის ძვრამ ძალიან დააზიანა ახალ ქალაქში სახლები; ზოგიერთ მათგანში ცხოვრება საშიში შეიქმნა.

22-ს ახალქალაქში ჩამოვიდა ექიმებითა და ფერშლებით ტფილისის გუბერნატორი ი. ნ. სვეჩინი და მაშინვე წავიდა დაზარალებულ სოფლებში, რათა ადგილობრივ მიიღოს საჭირო ზომები უბედურთა საშველად.

დაქცეულ 13 სოფლიდან, როგორც ამბობენ, 3000 კაცი გადარჩენილა სიკვდილს, მაგრამ დარჩენილა უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ. მცხოვრებთა მდგომარეობა საშინელია სიცივებისა გამოღამობით სიცივე 24 გრადუსამდის აღის და ამისთანა ყინვაში ქალი, ბავში, ავაღმყოფი, დაჭრილი და დაშვებული ხალხი ცის ქვეშ არის.

ახალციხის ქალაქის მმართველობა იღებს შემწირულებას. დაზარალებულთა შესაწევად. პირველ დღესვე შეგროვდა 600 მანეთი. დაზარალებულ სოფლებში გზავნიან პურს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს და სხვას.

ნავაგინის პოლკის უფროსი იტყობინება, რომ სამ დანგრეულ სოფელთა გაჩერეკამ აღმოაჩინა 64 მოკლული და 1 დასახიჩებული კაცი.

ხმა არის, რომ ორი სოფელი ისეთნაირად გაუნადგურებია მიწის ძვრას, რომ გაჩერეკაც არ შეიძლება მათი. ი. ნ. სვეჩინს თან ახლავს გლეხთა საქმეების საკრებულოს მდივანი ი. მ. ყიფშიძე.

## პეტრეგიშვილი უნივერსიტეტი.

დასასრული \*

აქვე უნდა ვსთქვათ რამოდენიმე სიტყვა ინტერესის შესახებ. თუ გვსურს, რომ ბავშვი ინტერესი აუძრაოთ რამე საგნის შესახებ, აუცილებელია, რომ მისი ყურადღება ერთს საგანზე გავაჩეროთ. შენიშვნულია, რომ ბავშვის ყურადღება ხანგრძლივი არ არის. ადვილია, რომ ბავშვის ყურადღება ერთს საგანს მოვაშოროთ და მეორეზე მიგმართოთ, მაგრამ მისი ერთ საგანზე დიდ-ხანს გაჩერება მეტად ძნელია. აი ეს არის მიზეზი, რომელიც აიძულებს მასწავლებელს, რომ მან ბავშვის ყურადღების მისაქცევად სხვა. დასხვა გარეგნულ საშუალებას მიმართოს, ხშირად ისეთსაც-კი, რომელიც თუმცა ამ მხრით ეხმარება მას, მაგრამ მავნებელია ბავშვის სულიერ ბუნებაზე. როგორც მაგალითად გაწყრომა, შეშინება და სხვა, ამისთვის მასწავლებელი გარეგნულ მავნებელ ზომებს ვერ იხმარს ხოლო; მან მხოლოდ უნდა აჩვენოს ბავშვის შესასწავლი მასალა და ურჩიოს იმაზედ ყურადღების მიქცევა; შემდეგ კი უნდა მიჰმართოს თავისს ხელოვნებას და საგანი ისე დააყენოს, რომ ბავშვის მალე არ მოსწყინდეს და მის ყურადღებას თან და თან იზიდავდეს. ამ გვარად ინტერესის აძვრაც ნახევრად მასწავლებლის და მოსწავლის შორის დამყარებულ კავშირზეა დამოკიდებული, რადგან რჩევას და დარიგებას თავისუფლად მხოლოდ მაშინ მიიღებს ბავშვი, როცა მისი გული სრულად მასწავლებლზეა მინდობილი. სამწუხაროდ დღეს თითქმის შეუძლებელია ასეთი კავშირის დაკავება სკოლაში.

ზოგიერთს ყველასათვის ცხად მიზეზს გარდა, უნდა შევნიშნოთ, რომ მასწავლებლის კავშირს მოსწავლებითან არღვევს დასჯა და დასაჩუქრება მათი, რის შესახებაც უნდა ვსთქვათ რამოდენიმე სიტყვა.

### III.

#### სასჯელი

თუ ბავშვი მასწავლებლის სურვილს ვერ ასრულებს და რამე შეცდომას ჩადის, იმ შემთხვევაში

სკოლური პრაქტიკა ნებას აძლევს მასწავლებელს, რომ ბავშვი დასაჯოს. სასჯელი ორ-გვარია: ზენობრივი და ფიზიკური; ზენობრივი მაგალითად, ბავშვის მხილება ან ცალკე ან ამხანაგებთან; ფიზიკური; ფეხზე დაყენება, გალახვა და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დაწერილია და ბევრი თქმულა სასჯელის წინააღმდეგ, სკოლების პრაქტიკაში სასჯელი მაინც ერთ აუცილებელ პირობად ითვლება და უნდა შევნიშნოთ, დიდს ხმარებაშიც არის. რა მნიშვნელობა აქვს და რა შედეგი მოსდევს სასჯელს, ამას აღვილად წარმოვიდგენთ, თუ ვიქონიერთ სახეში ბავშვის ფსიქოლოგიას. წარმოვიდგინოთ შემდეგი მაგალითი. ბავშვმა მოიპარა სკოლაში ამხანაგის ნივთი. მასწავლებელმა ძებნის შემდეგ აღმოაჩინა ნივთი და პატ-რონს ჩააბარა. რომ მომავალში აღარ ჩაიდინოს დამნაშავემ ქურდობა, მასწავლებელი ხმარობს საშუალებად სასჯელს. მას მიჰყავს დამნაშავე, აყენებს ამხანაგების წინაშე და ამხილებს ბავშვს ჩადენილ შეცდომაში. ამხანაგები იცინიან, დამნაშავე-კი წითლდება, წუხდება და შეიძლება კიდეც სტირის. ამით თავდება ბრალმდებლის ოქმი და ბავშვი ზენობრივად ისჯება. ეხლა გავარჩიოთ ეს მაგალითი; რა შედეგი უნდა მოჰყვეს ამას და ამ გვარ მაგალითებს?

როცა მასწავლებელი ბავშვს ამხილებს ამხანაგებთან, მაშინ ბავშვი ორ-გვარ ბრძოლასა ჰგრძნობს: ერთი მხრით ბავშვი თავისს თავს ებრძვის, რაც ჩავიდინე საქმე ისე, რომ გამიგებს. მეორე მხრით ზიზ-ლით უყურებს მასწავლებელს, როგორც მისი შეცდომის გამომაშვარავებელს და ასეთი მისთვის შესაწუხებელი სცენის გამმართავს, ამხანაგებსაც, რომელნიც თანაგრძნობის მაგიერ დასცინიან ჩვეულებრივად, დამნაშავე მტრულის გრძნობით აღჭურვილი უყურებს. რამდენად დიღია ბავშვის მწუხარება, ამას ადვილად წარმოვიდგენთ, თუ ვიქონიერთ სახეში ერთი მხრით იმას, რომ ბავშვსაც აქვს თავმოყვარეობა და შეორე მხრით იმ ცხად ჭეშმარიტ მოყლენას, რომ რამდენათაც ვიწროა სამოძრაო წრე, იმდენად უფრო სულ-მოკლეა კაცი. ბავშვის თავმოყვარეობა ვიწრო ფარგალში ანუ წრეში ტრიალობს. ოჯახი და სკოლა ამხანაგებითურთ, აი წრე, სადაც ბავშვა სურს თავისი ლირსება დაიცეს. იმის მეტს წრეს ბავშვის სულიერი თვალი ვერ ხედავს და ამისათვის როცა ბავშვის ვამცირებთ და უბლალავთ თავმოყვარეობას, ამ ვიწრო წრეში ის უნუგეშოთ რჩება, რა-

\*) ი. „მწევერი“ № 22, 1899 წ.

დგან მას უმფროსივით არ შეუძლია თავისი შეცდომა რამე მოსაზრებით ან გაამართლოს, ან ინუგე-შოს თავი, რომ ამ შეცდომას სხვა კარგი საქმით დავთარავო და რაიმე გზით თავმოყვარეობას აღვიდ-გენო. აი სწორედ ამას მიზეზია, რომ ბავში ხშირად იჩენს სულმოკლეობას. ეხლა ვსთქვათ, რა შედეგი მოსდევს სასჯელს? მიუბრუნდეთ ისევ ბავშის სუ-ლიერ მდგომარეობას სასჯელის დროს. ბავში ხე-დავს, რომ მისი ქურდობა გამოაშეარავდა და ის მისთვის დაისაჯა, მაშასადამე ბავში ერთი მხრით ფი-ქრობს ქურდობა არ უნდა გამიგონო; შეორე მხრით მასწავლებელი სძულდება, მაზედ ნდობა ეკარგვის, მის სახეზედ თავისი იზედურების (შეცდომის) სუ-რათი ეჩვენება, რის გამოც თავის მალლა იღება ეზარება და ზიზღით ივსება; მესამე მხრით მცინარე ამხანაგებისადმი მტრობა ებადება და სამაგიეროს გადახდის გეგმას ამზადებს, რადგან გრძნობა სამა-გიეროს გადახდისა თანაშობილი აქვს ბავშს. ამ გვა-რად სასჯელი სულიერად ასუსტებს, აწუხებს ბავშს და ბევრ ცუდს გრძნობას უძრავს. თუმცა ასეთი სულიერი მდგომარეობა მალე ეცვლება ბავშს, რა-დგან გრძნობა უცებ წარმავალია და არა მუდმივი, მაგრამ ასეთი მდგომარეობა მაინც სტოვებს კვალს ბავშის მეხსიერებაში და შემდეგში ცუდად აღიძეჭ-დება ხოლმე ბავშის მოქმედებაზედ. მაშასადამე ცხა-დია ამ გვარ ზნებრივ სასჯელს სარგებლობა არ მოაქვს; პირ-იქით ბავშს ამ გვარი სასჯელით სული-ერ ბუნებას უხდენთ.

სასჯელის სასარგებლოდ ხშირად მოჰყავსთ ის მოსაზრება, რომ ერთი ბავშის დასჯა სხვაზე იქო-ნიებს გავლენას და სხვები იღარ ჩაიდენენ დანაშაუ-ლობასო. უნდა გადაჭრით ვსთქვათ, რომ ეს ძლიერ მოკლე აზრია, მიტომ რომ ბავშს ამხანაგის გაჭივ-რება მალე ავიწყდება, რადგან ბავშის თვისებაა უფრო დასკინოს ამხანაგს, ვინემ თანაუგრძნოს და ერთის გაჭივრებას მეორე ხომ ძლიერ იშვიათად გადილებს თავისის თავზე. გარდა ამისა ეს მოსაზრება ნამდვილი არ არის, მხოლოდ იმედზეა დამყარებული და დამ-ნაშავეს კი წინ და წინ ვხდით მომავალი ნიკოფის მსხვერპლად, ესეც არ შეიძლება ჩავსთვალოთ გო-ნიერ მოქმედებად და პედაგოგიურად საქმის შესაფე-რად. თამამად შეგვიძლია ვსთქვათ და ბევრს გამოც-ლილებაც დაარწმუნებს, რომ არა თუ სხვები ვაფ-თხილდებიან, თვითონ დამნაშავესაც ვერ მოაშლევი-

ნებს ცუდ ყოფაქცევას ასეთი ზომა, როგორიც ზე-მოთ მოვიყვანეთ. ფიზიკური სასჯელის შესახებ ლა-პარაკი მეტად მიგვაჩნია და მისი მავნებლობის მტკუ-ცების დრო მგონი უკვე ისტორიის ჩავაბარეთ.

რაც შეეხება იმას, რომ ბევრი ვითომ საკუთა-რი გამოცდილებით ამტკიცებს ბავშის აღზრდის და სწავლების დროს სასჯელის აუცილებლობას, ამის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი აზრი არის შედეგი ჩვენი მოთმინების სიმოკლისა და მეცნიე-რულად აღზრდის სისტემის უცოდინარობისა. ძქამ-დის, მართლაც, აუსრულებელ თეორიად ითვლებოდა ასეთი აზრი, რომ სასჯელს არ უნდა ჰქონდეს აღ-გილი სკოლის სისტემაში, მაგრამ დღეს ინგლისში, სადაც სკოლის საქმე დიდი ხნიდან წინ მიღის წარ-მატებით, სკოლა ჯეროვან სიმაღლეზედ სდგას და რედდიმ\*) შეჰქმნა ისეთი სისტემის სკოლა, რომ სასჯელის საჭიროებას აღარავინა გრძნობს. ერთი უმთავრესი ღირსება ამ ახალი სისტემის სკოლისა ის არის, რომ დასჯა და დასაჩუქრება ბავშების, რა სა-ხითაც უნდა იყოს, ფიცხლად აკრძალულია.

როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი თუნდ ზემოთ მაგალითად მოყვანილ შემთხვევაში, გვკით-ხავს მკითხველი? ჩვენი აზრით უფრო სასარგებლო და საქმის შესაფერი იქნება შემდეგი ზომა. თუ მას-წავლებელს სურს, რომ დამნაშავე (ქურდობაში) ქურდობას გადაეჩიოს, მან უნდა აუხსნას ბავშს ცალკენ დაწერილებით მისგან ჩადენილი შეცდომა, აუხსნას ისე, რომ დასკვნა თვით ბავშმა გამოიყა-ნოს, დასკვნა იმ სახის, რომ ქურდობა—ცუდი საჭ-მეა და მისი ჩადენა ყოველ მხრივ მეტად საზარალო არისო. ახსნის დროსაც მასწავლებელს სრულებით არ უნდა ჰქონდეს სახეში ბავში დამნაშავედ გამოი-ყავონს და რამე სასირკხო აგრძნობინოს, ასე რომ ერთი და ორი შემთხვევა ისე უნდა ჩათვალოს მას-წავლებელმაც და ბავშმაც, ვითომც უნებურად და უვიცად უქნია ბავშს. აგრეთვე მისთვის, რომ მთელი კლასი გააფრთხილოს და ქურდობა აღარავინ ჩაი-

\*) დაწერილებით შეიძლება შემდეგში გაფაცნოთ მკითხველთ ეს ახალი სისტემა ინგლისის სკოლისა.

დინოს, მასწავლებელმა ერთი და ორი ბავში კი არ უნდა დასაჯოს, ესე იგი წინდაწინ მსხვერპლად შესწიროს კარგს მიზანს, მან უნდა განუმარტოს მოწაფეებს, ქურდობა, როგორც ბიწიერება, და აუხსნას სრულიად ობიექტიურად, ე. ი. არც ერთი მათგანი სახეში არ უნდა ჰყავდეს, როგორც დამნაშავე და არც კერძო შემთხვევებზე ჰქონდეს ლაპარაკი, თორემ კერძო შემთხვევა დაკავშირებულია დამნაშავესთან და ღარიგებაც სუბიექტიურ ხასიათს იღებს. ჩვენი აზრით ყოველი ცუდი და მავნებელი ყოფაქცევა ამ ზომით უნდა ჰქონდეს ბავშებს ახსნალი არა ერთგზით და შეგნებული საქმაოდ. გონება ანუ შეგნება და ცუდნა თუ შეიჩერებს ბავშს ცუდი საქმისაგან, თორემ შიში და სხვა გრძნობაც უფრო საეჭვო თავმდებია მათი კარგი ყოფაქცევისა.

P. S. ამით გვინდოდა გაგვეთავებია ჩვენი მცირე შენიშვნები, მაგრამ მკითხველი უეჭველად შეგვნიშნავს, რომ ასეთი მოსაზრებები თეორეტიულია და მათი ასრულება სკოლაში თანამედროვე პირობების გამო შეუძლებელია. ვეთანხმებით მეოთხველს, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ დღვანები სკოლა და მისი ორგანიზაცია არ გვაქვს ჩვენ მუდმივ ტიპად იღებული. ცხოვრების პირობები უნდა გაუმჯობესდეს, მასწავლებლობას ხელობის ხასიათი, ეს ულირსი ნიშანი, უნდა მოშორდეს და მაშინ ეხლანდელი სკოლის ჩარჩოები დაირღვევა, შიგ ბრწყინვალე სხივი ჩაანათებს და ეს თეორიაც პრაქტიკად გადაიქცევა. საჭიროა მხოლოდ, რომ ყველამ შეიგნოს თანამედროვე ნაკლოვანებები, გადასწყვიტოს მათი არხივისაკენ გასტუმრება და საზოგადოებრივ შეგნებას გარეგნული წესწყობილების შეცვლაც მოჰყება; ეს ისტორიული პროცესის უტყუარი კანონია.

ტ. ჯაფარიძე.



## ჩემი თავუგადასავალი.



გაგრძელება<sup>1)</sup>

ამა ჩემმა დაწყებინა საღმრთო და საეკულესიო წერილის კითხვა ჩემს ორ უფროსს ძმას. როდესაც ისინი კარგად კითხვას შეეჩინენ, შემდეგ მათ დაწყებინა საზეპიროს სწავლება. იმ დროს, როცა ჩემი ძმები თავს აკლავდენ სერობის ლოცვის ზეპირად დასწავლას, მე თავისუფლად ვთამაშობდი. როცა ძმები ზეპირობდნენ, მე მათ ყურს ვუგდებდი და ზოგიერთს ადგილებს ლოცვებიდან ვიხსოვებდი. არასოდეს არ ყოფილა ისეთი დღე, რომ განსვენებულ მამაჩემს სერობის ლოცვა არ შეესრულების ნავახშმებს. მწუხრი და ცისკარი ხომ იშვიათი დღე იქნებოდა, რომ არ შეესრულებინა, მწირველიც რომ არ ყოფილიყო მეორე დღეს. სერობის ლოცვას ჩემს ძმანებს აკითხებდა. ხშირად, როცა ძმებს შეეშლებოდათ საზეპირო და შეჩერდებოდენ, მე ვუსწორებდი ხოლმე და ვახსენებდი შემდეგ სიტყვებს, რადგან მათ კითხვაში მე ზოგიერთი ადგილები ზეპირად დავისწავლე. ძლიერ უკვირდათ განსვენებულთ ჩემ მშობლებს ეს და ჩემს ძმებს შენიშნავს აძლევდნენ, თქვენს კითხვაში ეს ზეპირად სწავლობს, როდესაც ჯერეთ „ანგანი“ არ იცისო.

თუმცა სრული შვიდი წლის არ ვიქნებოდი, მაგრამ მეც მინდოდა სწავლა და ნამეტანი ცნობის მოყვარეობა მქონდა. წიგნის კითხვა არ დამაწყებინებს და ჩემ ცნობისმოყვარეობასაც არავინ არ აკმაყოფილებდა. ბუნებას ვაკვირდებოდი და ხშირად ვეკითხებოდი ხოლმე ჩემს ბებიას, თუ რატომ ეჩვენება კაცს ცა გობივით დამხობილი, ან რისგან წარმოსდგება ელვა და კექა-ქუხილი. ასეთ კითხვებზე ბებია ჩემი ხშირად მიპასუხებდა ხოლმე: „რა ვიცი, შვილო, ღმერთს ყველაფერი აგრე გაუჩენია და რა ვიცით ჩვენ. როდესაც ელვა და ქუხილი გაჩნდება, მაშინ მამენს დადევს მეხი და საღაც მი-

\*] იხ. „მწეველი“ № 18.

იმწყვრევს, დაეცემა და მოპერავს. ჭექა-ქუხილის დროს მანე დარბის და დასამალია ადგილს დაეძებს, დაანათებს ელვა, რომ დაინახოს იგი და და-ეცემა მხერ და გააქრობს. ელვის დროს პირი და-ლებული არ უნდა გქონდეს და დაელვების დროს უსათუოდ უნდა გააფურთხო».

დღესაც ცხადათ მახსოვს, თუ რამდენი კითხვების აღსნა და განმარტება მსურდა, მაგრამ ვინ ამისსნიდა! იმ დროს სოფლებში არსად სკოლის ხსენება არ იყო. მხოლოდ საღმრთო და საეკკლესიო წიგნების კითხვის ასწავლიდნენ და მეც ნელნელა დამაწყებინეს ამ წიგნების კითხვა. საღმრთო და საეკკლესიო წიგნების კითხვის სწავლება ჩემთვის საადვილო შეიქნა, და მალეც შევეჩვივ მათ კითხეას. სოფლებში იმ დროს ეკალესიებზე მედავითნები აქა-იქ იყო. იმ ეკალესიაზე, საღაც მამა ჩემი იყო განწესებული, მედავითნე არ ყოფილი და ამ თანამდებობას, თითქმის, მე ვასრულებდი. ორი-სამი წელიწადი ამნაირ მდგომარეობაში დავრჩი. წინეთ თუმცა ძლიერ ეშინოდათ სასწავლებელში შვილების შეყვანა და მცირე წლოვანებს ჯვარს დაწერდენ ხოლმე, რომ სასწავლებელში ბავშების შეყვანა თავიდან იყცინათ, მაგრამ ბოლოს აქა-იქ გაბედეს ზოგიერთებმა და თავისი შვილები შეიყვანეს ქუთ. სასულ. სასწავლებელში. ერთი მრევლის მლვდლის შეიღი სწავლობდა ქ. სასულიერო სასწავლებელში; ამ მოსწავლეს ხშირად ვნახავდი ხოლმე დღესასწაულების დროს და ნამეტნავად მეხარბებოდა მისი სასწავლებელში მიცემა. როცა მამაჩემს ჩამოვუგდებდი ამაზე ლაპარაკს, და დავუწყებდი თხოვნას მიმეცით სასწავლებელში-თქო, მეტყოდა: შე საწყალო, არ იცი, რა ამბავი ხდება სასწავლებელში, თორემ არ ისურვებ იქ შესვლას. ერთი რომ იქ ყოველ დღე როზვენ მოსწავლეებს, მეორე სარჩის შოვნა არის ძნელი. ვის აქვს იმდენი შეძლება, რომ იქ შვილი შეინახოს? იქ ვინც მიყავსო, ასში ხუთი თუ გაასრულებს სწავლას, თორემ სხვები იხტევ ბიან». ასე გადაწყვეტილ უარის თქმა სასწავლებელში შეყვანაზე გულს მიხეთქავდა და ბევრჯელ ჩუმათ ბევრიც მიტირია ხოლმე...

ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მამა ჩემი გამწყრომია ხოლმე და გულ მოსულს უთქვამს: „და-მაცა, დამაცა და შენ თუ სასწავლებელში არ შე-გიყვანო, გაიგებ. შენ ნახავ შენს სეირს იქ, რო-

დესაც ყოველ დღეში ორ-ორჯელ გაგროზვენ და მშადისა და რიონის მღვრიე წყლის მეტს ვერას იშოვი. მამა ჩემი თუმცა ძლიერ მაშინებდა ამ სიტყვებით, მაგრამ ჩემთვის კი ძლიერ სასიხარულო იყო. გულში ვფიქრობდი: სწავლა არ მიჭირს და რისთვის გამლახვენ ასე ტყუილა. ორაფერს დავა-შვებ და რის მერჩიან! თუ მღვრიე წყლის მეტი არაფერია იმ ოხერ ქუთასში, დავწმენდავ და ისე დავლევ. ამ ლოდინში მე ვიზრდებოდი, მაგრამ სასწავლებელში არ მიმცეს და ეს გარემოება ძლიერ მაწუხებდა.

როცა სტუმრები შეიყრიდნ ხოლმე ჩემს ღვაბში თავს, მაშინ ჩამაგდებდნ საუბარს ქუთასის სასულიერო სასწავლებელზე და იქ შესაყვან ბავშებზედაც. ზოგს მოშონდა ბავშების სასწავლებელში მიცემა და ზოგი წინააღმდეგი იყო. მამაჩემის ყველა შვილების მომნათვლელი—ნათლია ერთო მღვდელი დ. ბ—შვილი იყო. ეს ძლიერ წინააღმდეგი იყო ბავშების სასწავლებელში მიცემაზე. მას შვილები არ ჰყავდა და ძლიერ შეძლებული კაცი იყო. მამა ჩემი ეტყოდა ხოლმე: „მირჩევნ შვილის მიცემას სასწავლებელში და არ ვიცი, როგორ მოვიტე, სამს დრო აქვს წასული, დიდები არიან და შეოთხე შვილის მიცემას ვაპირებ და ვერ გამიძენია“. «რისთვის აძლევ შვილს სასწავლებელში?» ეტყოდა ხოლმე ჩენი ნათლია: «ხომ მღვდლათ უნდა ეკურთხოს? სასწავლებელშიაც რომ არ შეიყვანო, ისეც ეკურთხება. ჩემი ფულები რომ შ—ში ძირულის მდინარეში ჩავყარო, უბისამდის შეაბუგებს წყალს და მაგას ვერ ვაკურთხებინება? თავი დაანებე მაგის სასწავლებელში შეყვანას, ფიქრი ნუ გაქვს, თუ ცოცხალი ვიქენი, ჩემს ფულებს აუსრულებელი არა დაურჩება-რა“. ვერ წარმოიდგენს კაცი, თუ როგორ მაწუხებდა ჩემი ნათლიის ეს სიტყვები, მაგრამ რას ვიზამდი. ასე ამ მოლოდინში გავლო თორმეტმა წელიწადმა. დავაპირე ორჯერ სამჯერ გაპარვა სასწავლებელში ჩუმათ, მაგრამ არავინ არ მყავდა ნაცნობი ქუთასში, რომ პირველად მასთან მივსულიყავი და თავი შემეფარებია. ასე ვიტანჯებოდი და კაცი ჩემი შემწმებულე არავინ იყო.

(გაგრებულება იქნება).

## ს ხ დ ო მ ა

საიმპერატორო სამეცნიერო საზოგადოების განვი-  
ფილებისა ქ. ქუთაისში 20 ნოემბერს ამ 1899

წელს.

თავმჯდომარეობდა ქუთაისის სამეცნიერო გა-  
მოფენის კომიტეტის თავმჯდომარე თავ. მიქელიძე,  
რადგან ბატ. გუბერნატორი არ ბრძანდებოდა. უმ-  
თავრესი საქმეები გადადებულ იქმნენ შემდეგი  
სხდომისათვის.

შედეგის აღ. ნანეა შეიადა მოახსენა განყოფილებას  
შემდეგი: 1897 წელში რაფ. ჩიხლაძემ შემოიტანა  
განყოფილებაში თხოვნა, რომ ამ უკანასკნელმა გაგ-  
ზავნოს მის მამულში მევენახობის სცეციალისტი,  
რომელმან მოახსენოს განყოფილებას, რა მდგომა-  
რეობაშია დღეს მისი ახალი სისტემით გაშენებული  
ვენახი, რომ შემდეგ მან მიიღოს განყოფილებიდამ მოწ-  
მობა ამ საგნის შესახებ, რადგან ამ ცნობებს სთხოვს  
მას სამიწოდო დეპარტამენტი, რომ ბ. ჩიხლაძეს  
მიეცეს დეპარტამენტის სუბსიდით მფვენახეობის და  
მფუტკრეობის პრაქტიკული სკოლის გახსნის ნება.  
ამასთან ბ. ჩიხლაძემ წარმოადგინა დეპარტამენტიდან  
მიღებული ქალალი ამ საგნის შესახებ. ეს თხოვნა  
შეიწყნარა განყოფილებამ და დანიშნა ბ. შარაშიძე,  
ქუთ. სასწ. მასწავლებ., იგრეთვე სთხოვა განყ-  
ოფილებამ საქარის ამერიკული ვენახის საჩქოლებს გამ-  
გეს დაენიშნა თავისი წარმომადგენელი ბ. შარაში-  
ძესთან ერთად. ბ. შარაშიძემ და საქარის საჩქოლებს  
წარმომადგენელმა ბ. გარაევმა ამ საგნის შესახებ  
უკვე წარმოადგინეს ცნობები (ეს ცნობები წაკით-  
ხულ იქმნა მდივნისაგან).

თავ. ბ. წელიაძე. როგორც ჩანს წაკითხული  
ცნობებიდან, ბ. ჩიხლაძის საჩქოლები უფრო კარ-  
გიდ ყოფილი დაყენებული ვენახის დამყნის და მისი  
მოვლის საქმე, ვინემ თვით საქარის საჩქოლები.  
რას უნდა მივაწეროთ ასე შვენივრად გახარება ნამ-  
ყენების? ნუ თუ ბ. ჩიხლაძე სხვაზე უფრო კარგად  
მყნის? საინტერესოა გავიგოთ, ვინ მყნის ვენახს ბ.  
ჩიხლაძის საჩქოლები და ვინ უვლის!

რაფ. ჩიხლაძე. ჩვენს საჩქოლები მყნის ვენახს  
და უვლის უმთავრეს შემთხვევაში ჩემი ძმა ვარლამი  
და აგრეთვე ის პირები, რომლებსაც იგი წრთვნის

ამ საქმეში. ძალიან ყურადღება ექცევა რიგიანად  
დამყნას, დარგვას და წამლობას, რითაც ითხსნება  
საჩქოლებს რიგიანი მდგომარეობა.

სამ. ქვარიანი. რადგან ლაპარაკი შეეხება ბ.  
ჩიხლაძის საჩქოლებს, არ შემიძლია არ მოვახსენო  
კრებას ჩემი აზრი მის შესახებ. მე შემთხვევით ვნახე  
ს. შრომაში ბ. ჩიხლაძის ამერიკული ვაზის საჩქოლე  
და სიმართლე უნდა ესთვა, გამაკვირვა როგორც  
სისუფთავებ, აგრეთვე მეტადრე საზრიანმა მოვლამ.  
ამ წლის დარგულ ნამყენებში ძლიერ ცოტანი ვნა-  
ხე გამხმარი და ჩემის აზრით გახარებულო რიცხვი  
უნდა აღემატებოდეს 90 % ის რაიცა იშვიათად მი-  
ნახავს თვით საფრანგეთის პირველ ხარისხოვან პეპი-  
ნიერებში; საქარის საჩქოლებში კი გახარებოლთა  
რიცხვი ადის მხოლოდ 35—40 % -დე, ნამყენები არ  
იყო ძლიერ ახლოს დარგული, რასაც სხვაგან ჩა-  
დიან, შეხორცებული იყო მაგრად, და რამაც კიდევ  
უფრო გამაკვირვა და რაიცა არ მინახავს ეკროპაში,  
ზოგიერთ ამ ნამყენებზე ვნახე მწიფე მტევნები,  
რომლებიც ჩემი ხელით მოვკრიფე და ვიგემე. კი-  
დეც შევნიშნე მაშინვე, რომ კარგი იქნება რამდე-  
ნიმე ცალს ამ ახალ ნამყენს მტევნებიანად გაგზა-  
ნილენ პარიზის გამოფენაზეთქმ. იქვე გავსინჯე  
ამერიკული ვაზებით (ნამყენებით) განახლებულ  
ჰვილდებან ამ წლის მოწეული ლვინო, რომელიც  
მეტად სასიამოვნო გემოსი იყო, მხოლოდ ცოტა მო-  
მკაცა, რაიცა ითხსნება ყურძნის აღრე მოკრეფისაგან.

გ. ზდანევიანი. მე წინეთაც წინააღმდევი ვიყავი  
და ეხლაც წინააღმდევი ვარ მოწმობის მიუღმაზე.  
რადგან საქარის საჩქოლებანა ცნობები წარმოდგე-  
ნილი, აღარაფერი გაეწყობა, მაგრამ უნდა მიეცეს  
მოწმობა კი არა, მარტო პირი იმ ცნობებისა. ვიყა-  
ვი და ვარ წინააღმდევი მიტომ, რომ ბ. ჩიხლაძემ  
ეს საქმე დაიწყო იდუმლად, სამეცნიერო განყოფი-  
ლების გაუგებლათ და ამიტომ განყოფილებას არა-  
ვითარი ყურადღება არ უნდა მიექცია ბ. ჩიხლაძის  
თხოვნისათვის. იმას ჩვენთვის უნდა ეთხოვნა შუამ-  
დგომლობა მთავრობასთან და რადგან ჩვენ გვერდი  
ივიხევია, უჩვენოთვე გააკეთოს საქმე.

დეპ. დ. დამბაშვილი. სხვების ნათვამს ჩიხლაძის  
საჩქოლებს შესახებ კიდევ ისე არ უავიჯერებდი, რომ  
მე თვითონ არ ვიცოდე, თუ როგორ კარგად აკე-  
თებს მოწმობის მთხოვნელის ძმა, ვარლამ ჩიხლაძე  
ვენახის ნამყენებს. მე წელს ამ ვარლამ ჩიხლაძეს

დაემყნევინე ჩემს ეზოში ვენთი და დავარგვევინე. უნდა ვსთქვა, რომ სწორედ საუცხოვოდ ჰქონია მას შესწავლილი ეს საქმე. ძირი და თავი ნამყენის ისე მოხდენილად ეტება ერთი მეორეს, რომ ძალიან დაკვირვება უნდა გამოცნობას, თუ სად შეერთდება ჩევნი ვაზი და ამერიკული. ენა ნამყენის თვალსაჩინოდ განირჩევა სხვის დამყნილის ენისაგან. წლევანდელი ჩიხლაძის დამყნილი ვაზები ბევრად მეტები გაიზარდა, ვინემ შარშანდელი საქართვის საჩქოლეში ნაყიდი ფესვიანი ნამყენები. რაც შეეხება ბ. ზდანევიჩის მოხსენებას, არ შეიძლია არ შევნიშნო, რომ ამ ნაირი მსჯელობა უსაფუძვლოა. რა კანონიერი უფლება გვაქვს ჩვენ, რომ მოხვენელს არ მივსცეთ ის, რისაც დაკავება არ შეიძლება? მაშრაო დავნიშნეთ ჩვენ მოხვენელის მამულის ნახვა და რაო გვინდა ის ცნობები, რომლებიც ჩვენმა დანიშნულმა სპეციალისტებმა მოგვახსენეს? ვკითხოთ ბ.

ზდანევიჩს, რატომ ანჯაფარიძის საქმეში არ გამოიჩინა მან ამისთანა თავმოყვარეობა, როდესაც აღნიშნულშია ანჯაფარიძემაც საქმე თავიდებან დაიწყო ჩვენდა გაუგებლათ და შემდეგ ჩვენ უფრო სამძიმო თხოვნით მოვმართა, ვინემ ჩიხლაძემ,—მან ფულის დახმარებაც ითხოვა და ჩვენ ამაზედაც არ გვითხრობია უარი, ჩიხლაძისთვის-კი უბრალო ცნობების მიცემაც არ უნდა ბ. ზდანევიჩს. უეჭველია, რომ აქ სხვა რამე მიზეზი იმაღება.

დ. ნაზარეთი. თანახმა ვარ ბ. ზდანევიჩის აზრებისა, ბ. ჩიხლაძეს უნდა მიეცეს მარტო პირი სპეციალისტებიდებან წარმოდგენილი ცნობებისა, მოწმობის მიცემა კი არას გზით არ შეიძლება, ჩიხლაძეს ჩვენთვის გზა არ უნდა აეხვია.

ს. ქვარანთ. გაოცებული ვარ ძალიან, რომ ბ. ზდანევიჩი და ნაზარეთი—ეს პატივუმული პირები თანაგრძნობის და გამნევების ნაცვლად კიცხვენ კიდეც ბ. ჩიხლაძეს, თუ რად აუხვია მან გვერდი ქუთ. სამეცნ. საზოგ. განცოდილებას და ჩვენს ჩუმად რაო აკეთა საქმეებით. მე თითქმის არ ვიცნობ ბ. ჩიხლაძეს, მხოლოდ ვნახე მისი ნამოქმედარი სოფელ შროშაში, ვნახე სამაგალითო ამერიკული ვაზის საჩქოლე, ვნახე შვენიერი ახალი სისტემით გაკეთებული ზვარი, რიგანაც იღებს მაგალითს მთელი სოფელი, ვნახე შროშაში დაკაპიტებული ხალხი, მღვდლებიც კი, რომლებიც თავის ხელით აბრუნებდენ მიწას, რომ მაზედ აეგოთ ამერიკულ

ვაზზედ ახალი ზერები და ეს სამური მოვლენა იყო გამოწვეული ბ. ჩიხლაძის მაგალითთ. დიახ, მე ვნახე უველა ეს და ჩემთვის, ახალ კაცისთვის, საკმარისია, რომ ბ. რაფ. ჩიხლაძეს და მის „ჩუმალ“ მოქმედებას, რასაც სხვები აქ კიცხვენ, უთხრა ვაშადა დაუკრა ტაში... თაშამიდ ვიტყი, დიდი ბელნიერება იქნებოდა, რომ იყოს ბლომად თუნდ ჩუმად და საიდუმლოდ ამ გვარ საქმეების ჩამდენი, დევიმოქმედონ იმათ ქუთ. სამ. საზოგ. განცოდილების გარეშე და ლოცვა კურთხევის მიუღებლათ, ხოლო ხალხისათვის სასარგებლოდ კი! ამისათვის პატივუმულმა განცოდილებამ კი არ უნდა გაპკიცხოს ის კაცები, არამედ უთხრას ქება, გაამნევოს და დაეხმაროს ყველაფერში. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ ქუთ. სამ. საზოგ. განცოდილება მისცემს ბ. ჩიხლაძეს იმ მოწმობას, რასაც იგი სამართლიანად თხოულობს.

თავმჯდომარე. საქმის პირი ბ. ჩიხლაძეს უთუოდ უნდა მიეცეს, ამის დაკავება არ შეიძლება და რაც შეეხება სხვა ლაპარაკს, მე ეს მეტად მიმაჩნია და ამისათვის ამაზე ლაპარაკის ნებას აღარავისს ვაძლევს (სხდომა დაიხურა).

### † მონაზონი დედა აკვილდინა.

მცირე ავათ-მყოფობის შემდეგ დამით 12—13 ნოემბერს გარდაიცვალა ამიერ სოფლით მდვიმის დადათ მონაზონის მონაზონი დედა აკვილინა—მობიდგინ 81 წლისა. განსვენებული აკვილინა იუ შორავნის მაზრის სოფ. საქართველოს აზნაურის ს-მონ წერეთლის ასული; მან მთელი თავის სიუმატვილე და სიცოცხლე შესწირა მონაზონის წილებას, როდელსაც მტკიცებული და შეეგინებლად ასრულებდა იგი თავის წმინდა ცარივრებით; დედა აკვილინა ცხოვრებდა მონასტერში ორმოც-და-ათი წლის განმავლობაში; იგი იუ წირვა-ლოცვის მეტად მოუვარე, დვითის მაშიში და ადამიანის მოხათრე, მეტათ მწყნარი, მშვიდი ჩასიათის და მართლის მოლაპარაკე; ებრალებოდა უპატრიონი ქვრივი და

ობოლი, აძლევდა უცელას მათ შემწეობას შეძლებისა და გვარად, იღებდა წულულებით ავათ-მყოფებს, კუტებს, დავრდომილებს და არჩენდა საპადლოთ საჭურარი წამლით და შრომით; თუმცა მოხეცი იუო განსვენებული, მაგრამ დოცება, მრომ, და ხელთ-საქართვი თვით სიკვდილის დღემდის არ დაუგდია; ის ქსოვდა, ჰეროვდა და უპატრონო ქვრივ-ობოლებს ეგზივნიდა; მუსაათში იყო მეტათ დაგვირებული და აზრიანი; ისეთს არას იტუოდა, რომ მამინათვე საღმრთო წერილის სიტუაციით არ დაემტებიც თავის ნათევამი. და და აკვილინა იუო ნამდვილი მიმდევარი ძევლი აღთქმის ათი მცნების და ახალი აღთქმის ცხრა მცნების ნეტარებისა; იგი წარმოუდგენს ერლანდელ მონაზვნებს ნამდვილ მაგალითს მონაზონობებას თავისი უბიწო და შეუგინებელი ქვედ-მოქმედური ცხოვრებით.

14-ს ნოემბერს, დედა აკვილინას უწირეს და წესი აუკას მონ-სტრის ეყვლესამი და შემდეგ დაკრძალეს ამავე მონასტრის სასაფლაოზე, სადაც და და მწუხარებით გამოეთხოვენ მას მონასტრის დ ბი.

მწირველი იუო და განსვენებაზე დაესწრო ჯრუჭის მოხასტრის არქიმანდრიტიმ. ნიკიფორე აღგილობითი ს მღვდელობების თანა-მსახურებით.

საუკუნოთ იუოს ხენება შენი მონაზონთა სიქადულო და სულ-მ-თო დირსო დადაო აკვილ ნა!

ჭიათურის საეკლესო — სამრევლო სკოლის მასწავლებელი ბესაბიონ გაშამე.

## საუკლესო სანთელი.

დასასრული \*)

მაგრამ ეკკლესიური სანთლის მნიშვნელობა ამით არ თვიდება. სანთელი ნიშნავს ჩვენს სიყვარულს ღვთისადმი, მაგრამ ამავე დროს იგი არის ცხადი გამომეტყველი ჩვენი სიყვარულისა ჩვენ მოყვასთადმი, ჩვენ ძმათადმი ქრისტეს მიერ, და მასთან

გამომხატველი სიყვარულისა არა მარტო სიტყვით და ენით, არამედ საქმით და ჰეშმარიტებით. სანთელი არის მსხვერპლი ღვთისა და ამავე დროს კეთილი საქმე სასარგებლო მოყვასთა, — საქმე ქველმოქმედებისა და მოწყალებისა. როცა ვინმე ყიდულობს სანთელს ტაძარში და წმ. ხატების წინაშე ანთებს, ამით ის თავისი შემოსავლის ნაწილს სწირავს ეკკლესიის საჭიროებას, რომელსაც მოითხოვს ტაძრის განახლება და გაშვერება. ამიტომ ასეთი კაცი ჰეშმარიტად ეკუთვნის აღმაშენებელთა და ქეთილის შეოფენთა ამ ტაძრისა, რომელთაც ეკკლესია მუდამ იხსენიებს, ვინაიდგან ეკკლესიის შემოსავალი იხმარება საჭიროებისამებრ ტაძრის განსამშვენებლად, სალაროს მოსაწყობად და კანკელის განახლებისათვის და სხ. გარდა ამისა, ყოველი კაცი, რომელიც ტაძარში სანთელს ანთებს, ამავე დროს სულიერ სანთელს ანთებს მრავალ ბავშთა გულში, რომელნიც უამისოდ დარჩებოდენ ბნელის შინა, ვინაიდგან სანთლის შემოსავალის მცირე ნაწილი იგზავნება სხვა და სხვა სასწავლებლების და საეკკლესიო სკოლების შესანახვად. ის, ვინც ხატის წინ ანთებს სანთელს, ამავე დროს თავისი შემოსავლიდან იგი იძლევა ნაწილს ობლების გამოსაზრდელად, რომლებიც ინახებიან მარტო სანთლის შემოსავლით. ერთი სიტყვით, ვინც სანთელს ანთებს ხატის წინ, ისრულებს ქველის საქმეს, რომლითაც გვიმტკიცებს თავის სიყვარულს მოყვასთადმი, იგი მოწყალებას აძლევს გაჭირვებულთ; ხოლო „მოწყალება“, როგორც ამბობს წმ. იოანნე ოქროპირი, „არის დედოფალი ქველის მოქმედებათა, რომელთაც ფრიად ჩქარი მიყავს მორწმუნენი ზეცათა შინა და ეს მოწყალება შეიქნება მათი საუკეთესო მფარველი.“ კორნილიოს! რქა ზას ანგელოსმა: ლოცვანი შენნი და ქველის საქმენი შენნი აღვიდეს სახსენებლად შენდა წინაშე უფლისა“ (ხაქ. მოც. 10, 4). ეს ნიშავს, რომ რამდენი ცოდვებიც უნდა გქონდეს შენ, ნუ გეშინია, თუ შენი მოწყალება შენთვის შუამავლობს ღვთის წინაშე. არავითარ ზეციურ ძალას არ შეუძლია წინააღმდეგს მას. მოწყალება ითხოვს სამაგიეროს და ხელთა აქეს სიტყვა უფლისა: „რავდენი უყავით ერთსა ამას მცირეთაგანსა, მე მიყავით“ (მათ 26, 20). რამდენი ცოდვებიც უნდა აქვნდეს კაცს, მოწყალება უველის აქარწყლებს.

\*) იხ. „მწყემსი“, № 22 1899 წ.

მაგრამ ასეთი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ წმინდა ეკკლესიურ სანთელს, რომელიც მომზადებულია ფუტკრის წმინდა ცვილისაგან და რომელსაც ყიდულობენ ეკკლესიაში და იქვე წმ. ხატების წინ ანთებენ. თუ რამეთ შერეული ეკკლესიურ სანთელში, მაშინ იგი კარგავს თავის დიდ მნიშვნელობას და ასეთ მსხვერპლს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ღვთის წინაშე. შესხვერპლი უნდა იქნეს წმინდა, თუ გვინდა, რომ ჩვენ მიერ შეწირული მსხვერპლი შეიწიროს უფალმა. ძველს აღთქმაში ღმერთს წირავლნენ ძვრთასს მსხვერპლს—ხარებს და ცხვრებს, რომელნიც უნდა ყოფილიყვნენ წმინდანი. ყოველი უწმინდური მსხვერპლი წინააღმდეგია ღვთისა, ამიტომ ასეთი მსხვერპლი ნაცვლად შეწყალებისა გადმოავლენს ჩვენზე ღვთის რისხვის ისე, როგორც ძველი აღთქმის მღვდლების ოფნის და ფინესის მიერ შეწირულ მსხვერპლზე გადმოვლენილ იქმნა რისხეა ღვთისა. თუ გვინდა ავცდეთ ასეთ რისხვას, უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენ მიერ შეწირული სანთელი იქნეს წმინდა ცვილისაგან გაკეთებული. ასეთი სანთლის მოპოება შეიძლება მარტო ტაძარში და არა დუქნებში, სადაც ბლობმად ყიდიან ყალბ სანთელს. აგრეთვე ცოდვენ ღვთის წინაშე ისინიც, რომელნიც ყიდულობენ ყალბ ცვილს და შინ თავისი უწმინდური ხელებით ამზადებენ სანთელს და მერე მიაქვსთ და ანთებენ წმ. ხატების წინაშე. ასეთი ყალბი სანთლის სუნი არ არის მომასწავებელი სულის წმიდის მაღლისა, რომელსაც მოასწავებს ცვილი, რომელიც შეკრებილია სუნნელოვანი ცვავილებისაგან. ასეთი ყალბი სანთლის შეწირველნი ცხადათ ამტკიცებენ. რომ იგინი ყურადღებას არ აქცევენ ტაძრის სიმშვერიერებს. იგინი თავიანთი ყალბი მსხვერპლით, რომელსაც აღის კომლი, აღუჭებენ ყოველ სამკაულს ტაძარში. თავიანთი უწმინდური სანთლებით, რომლებითაც იმშვარტლება ხატებზე წმიდათა სახეები, შეწირველნი კი არ ისიამოვნებენ უფალს, არამედ ფრიად არისხებენ მას, ხოლო ვინც არისხებს უფალს; იგი დაისჯება. აი მაგალითი იმისა, თუ როგორ ურისხდება უფალი ტაძრის შეურაცმებებელო: ათონის ერთ მონასტერში სასადილოში შესავალი კარების ზემოთ დიდი ხნიდგან დახატული იყო ღვთის შობლის სახე. ტრაპეზის გამგე მოვალეობისაგან სხვა ბერებზე უფრო ხშირად დღისით და ღმით

შედიოდა ამ კარგბში. ღამით იგი ხანდისხან ხატის წინ გაივლიდა ხოლო ანთებული კვარით. ერთხელ, როცა ტრაპეზის გამგემ, სახელად ნიღმა, ანთებული კვარით გაიარა ხატის წინ, შემდეგი სიტყვები გაიგონა ხატისაგან: „ნუ მოდიხარ აქ ანთებული კვარით და ნუ მშვარტლავ ჩემს სახეს“. ნიღმი პირველად შეშინდა, მაგრამ მერე იფიქრა, აღმად ეს სიტყვები რომელიმე ბერმა დამიძახოთ, და შემდეგ ისევ უწმინდებურად დადიოდა ანთებული კვარით. გაიარა ცოტა დრომ და ნიღმა ხელახლად გაიგონა შემდეგი სიტყვები: ბერო, ულირსო ამა სახელისავ! ნუ თუ კიდევ დიდხანს ივლი ანთებული კვარით და გააფუჭებ ჩემს სახეს?“ ამ სიტყვების დროს საწყალი ტრაპეზის გამგე დაბრმავდა, და ბერებმა მეორე დღეს ნახეს იგი თავდაღმა მღებარე ხატის წინ. ყველა ბერებმა და ამ დასჯილმაც დიდხანს იღმოცეს ამ სასწაულთ-მომქმედი ხატის წინ, ხატის წინ დაანთეს გაუქრობელი კანდელი, და ტრაპეზის ხალს გამგეს უბრძანეს, რომ ყოველ საღამოს ხატის წინაშე ექმია. ერთ დღეს, როცა ნიღმი ხატის წინაშე გულმოლგინედ ლოცვილობდა და ტირიდა, მას მოესმა შემდეგი ხმა: „ნიღ! შენი ვეღრება იქმნა შესმენილ და მხედველობა უბრუნდება თვალთა შეთა“. ლმერთმა ინებოს, რომ ეს მაგალითი ჭიუის დასარიგებელი იქნეს ყველასათვის, რომელნიც ყალბ სანთელს ანთებენ ტაძარში და მშვარტლავენ ხატებს და სხვა საეკკლესიო სამკაულებს.

აქვე უნდა მოვიხსენოთ ისიც, რომ რიგი არ არის ხატების წინ დაგნოთოთ და ან ხელში დავიწიროთ ღვთის მსახურების დროს სანთლის მსგავსი ხეები და თუნუქა, რომელთა ზემოთ ანთა სანთელი. თუ გვინდა, რომ ჩვენ მიერ ხატების წინ ანთებული სანთელი შეიწიროს უფალმა, უნდა ვეცადოთ, რომ სანთელი იყოს დამზადებული ფუტკრის წმინდა ცვილისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გავარისხებთ უფალს. ამიტომაც მღვდელ-მთავრები და მღვდელნი ძველი აღთქმის, მღვდელ-მთავართა და მღვდლების მსგავსად, ფიცხელ ყურადღებას იქცევენ, რომ ხატების წინ ანთებული სანთელი იყოს წმინდა ცვილისაგან გაკეთებული და არა ყალბი. ამ ბოლო დროს, როცა ასე გავრცელდა ყალბი საეკკლესიო სანთელი, ამავე საგნის შესახებ გამოიცა კანონი, რომელიც სასტიკად სჯის როგორც მათ, რომელნიც ამზადებენ ყალბ სანთელს, ისე მათთაც, რომელნიც ყალბ სანთელს ყიდიან.

## აზალი აშპები და შენიშვნები.

ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების კრებამ დაადგინა: შუამდგომლობა აღიძრას საქართველოს ექსარხოსის წინაშე იმის შესახებ, რომ დაარსდეს საეპარქიო საქალებო სასწავლებელში სტიპენდია მისის ძალალყ-დ უსამღვდელოესის იოანნიკეს სახელობაზედ; ამასთან სანთლის ქარხნის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რომელიც შეადგენს ამ სასწავლებლისა და სხვა სასულიერო სასწავლებელთა ერთად-ერთ შესანახ წყაროს, გარდაეცეს ეს ქარხანა სამღვდელოების უწყებას იშვე პირობებით, როგორც რუსეთში არსებობს ასეთი ქარხნები.

21 ნოემბერს, \* \* საქართველოს ექსარხოსმა, ყოვლად უსამღვდელოებამ ფლაბიანე საქალებო საეპარქიო სასწავლებელში წირვის შემდეგ პარაკლისი გარდაიხდა. ამ დღეს ექსარხოსმა კიევისა და გალიციის მიტროპოლიტის მაღალ ყოვლიად უსამღვდელოესს იოანნიკეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების კრებამ, თქვენის სასულიერო სამსახურის 50 წლის შესრულების სახსოვრად და მის ქალთა განათლებაზე თქვენის მწყებს მთავრულის მზრუნველობის მოსაგონებლად, გარდასწყვიტა რა თფილისის საქალებო საეპარქიო სასწავლებლის ექს კლასიანად გადაკეთება, მთხოვა მეშეუმდგომლნა სასწავლებლისათვის იოანნიკის სახელის წილების შესახებ და მომეხსენებინა ეს გარემოება თქვენის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობისათვის. სასწავლებლის დღეობის დროს.

\* \* უწმ. სინოდთან შემდგარი განსაკუთრებული კომისია შესდგომია საპენსიო წესების შემუშავებას ქალაქისა და სოფლის მღვდელთათვის. პენსიის მისაღებ ვადად აზრადა აქთ 35 წელიწადი ზანიშნონ. ქალაქის დეკანოზებს დაენიშნებათ — 450 მან., ქალაქის მღვდლებსა და სოფლის დეკანოზებს — 360 მანეთი, სოფლის მღვდლებს — 240 მანეთი, ქალაქის მთავრებს — 240 მ., სოფლის მთავრებს — 180 მან. მედავითნეთ პენსია არ დაენიშნებათ.

\* \* რედაქტიამ მიიღო ახალი ქართული წიგნი: „ცხოვრება ქართველთა განმანათლებელის წმიდა

ნინოსი“, ქართულიდამვე მდაბიურად გაღმოლებული მ. შარაძის მიერ, მეორე გამოცემა მორჩილის რ. ბარამიძისა. წიგნი შეიცავს 48 გვერდს და ღირსერთი შაური.

\* \*

მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ 30 დეკემბერს შესრულდება ვადა, როდემდისაც შეიძლება შეცვლა ქაღალდის ფულისა — სამ-მანეთიანისა, ხუთმანეთიანისა და თუმნიანისა — 1887 წლის ნიმუშისა. ამ ფულების შეცვლა შეიძლება სახელმწიფო ბანკში.

\* \*

მთავარმართებლის საბჭოს, გაზ „ტუ. ფურცლის“ სიტყვით, გარდაუწყვეტია საერობო საშუალებიდან დახმარება აღმოუჩინოს სასოფლო სკოლებს ტფილისის გუბერნიაში — 13,500 მან. და ქუთაისისაში — 14,100 მან.

\* \*

ამ დღეებში ტფილისის პოლიციმეისტერს და საგანგებო მინდობილებათა მოხელეს ტუ. გუბერნატორთან დაურიგებიათ ტფილისის ღარიბ მცხოვრებთათვის მთავარ-მართებლის თავ. გ. ს. გოლიცინის მიერ შეწირული ფული.

\* \*

იმ კონცერტიდან, რომელიც ამ დღეებში გამართულ იქნა ქ. თბილისში, როგორც ამბობენ, წერა-კითხევის საზოგადოების სასარგებლოდ 1000 მანეთამდე დარჩენილა.

\* \*

ამბობენ, რომ ღრანდაში არსდება მეაბრეშუმეთა ამხანაგობა, რომელსაც სახელიად «აბრეშუმი» ერქმევა. წესდება უკვე შეუმუშავებიათ და გაუგზავნიათ მთავრობასთან დასამტკიცებლად. საამხანაგო წილის ფული თითო თუმანი იქნება.

\* \*

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატებს კრება ჰერინდათ ქ. ქუთაისში ამა დეკემბრის თვის 15, 16, 17, 18, 19 და 20 რიცხვებში. ვრცელი ანგარიში ამ კრების შესახებ დაბეჭდილი იქნება ჩვენი გაზეთის შემდეგ №№-ში.

\* \*

ქუთაისის გუბერნიაში თითქმის ყველგან იყო მიწის ძერა. ზოგან სახლის კედლები დაირღვა. სხვა ზიანი არაფერი მომხდარი.






# სწორები და მეტნიერება ქრისტიანობის სამართლებასა და კეთილგანვითარებაზე.

ა მ ღ ა ი მ .

იგავი მდიდარსა და დაზარეზე.



აცხოვარმა ჩვენმა იესო ქრისტემ როგორც გულთა-მხილავმა წინასწარვე უწყოლა, თუ რა ზომამდე იმორჩილებს კაცს მგრძნობელობა, ნამეტურ მაშინ, როცა იგი გატაცებულია უქმი ცხოვრებით და მრავალი განცხრომით და შექცევით; და რა დიდი მოთხენა და სულიერი სიმამცეა საჭირო მათთვის, რომელთაც თავს დასტენიათ სხვა და სხვა უბედურებანი და მწუხარებანი და ჩავარდნილან უკიდურეს. სიღარიბესა და გაჭირვებაში, და რომელნიც არსაიდან შველას არ ელიან გარდა ლვთისა. ძნელი ასატანია კაცისათვის ასეთი უკიდურესი მდგომარეობა, მაგრამ მეორეს მხრით ასეთი ცხოვრება ფრიად კეთილნაყოფიერია. უფალმა იესო ქრისტემ უბრალო, მოკლე და ცხად იგავში დაასურათა, თუ რა მდგომას რეობაში არიან როგორც იქ, ამ ქვეყნად, ისე გარდაცვალების შემდეგ ისინი, რომელნიც მთელს თვის სიცოცხლეს ატარებენ ფუფუნებასა და განცხრომაში, ან ისინი, რომელნიც უკიდურეს სიღარიბეში არიან ქვეყნად და სასოებენ მარტო ლმერთზე. აურაცხელმა სიმდიდრემ მდიდარს დავაიწყო შრომა და მთელს თვის სიცოცხლეს ატარებეს უქმად. მდიდრის სხეული განცხრომაშია, სული კი მივიწყებულია, მას თითქო სძინავს. აბრეშუმის ტანთსაცმელი ჰფარავს მდიდრას გასუქებულს სხეულს, სხვა და სხვა საჭმელები უტკბობენ მას ენას, სახლების ძვირფასი მორთულობა ამხიარულებს მის მხედველობას, მო-

ისმის მუდამ საკრავის ხმა, მოსამსახურენი ერთგულად მსახურებენ, ძვირფასი ღვინოები შეხეფებს ისკრიან სტაქნებში. დღე და ღამეები შეუნიშნავად გაბინან მხიარულ მეგობართა საზოგადოებაში, ფსონებში, სმასა და ჭამაში, ხუმრობასა და ლაზლანდარობაში. ერთი შეხედვით სწორეთ რომ ბელიერი და სახარბიელო ცხოვრება! რამდენიმე ათასი კაცი დღე და ღამ ღუნებობს და სურს სევთი ცხოვრება და ამ ღუნებობაში რაღაც კმაყოფილებას ჰპოებენ. ბევრნი არიან ისეთებიც, რომელნიც გულით და სულით მონდომილნი არიან ოღონდ ასეთი ცხოვრება იგემონ და მზად არიან თავი შესწირონ. იხარჯება ჯანმრთელობა, ითელება სინიდისი და პატიონება, იჩაგრება მოყვასი, ივიწყებენ, რაც კი რამ წმინდაა დროებითი და მსწრაფლ წარმავალი სიამოვნებისათვის. და რამდენი სიბოროტე, სასოწარკვეთილება და სიმწუხარე ტრიალებს მათ გულში, რომელნიც ყოველივე საშუალებას ხმარობდნენ მდიდრული ცხოვრების მოსაპოებლად. მაგრამ მიზნის მიუღწეველად ჩაიღუნენ... ქრისტეს არა სურს შეაჩეროს ჩვენი მხედველობა ამ სიმდიდრის და უქმად მყოფლობის მიმზიდველ სურათზე. იგი გვიხარებას მეორე წინააღმდეგ სურათს. ნაცვლად მდიდარი სასახლეებისა ჩვენ თვალწინ იხატება ტალახიანი ალაყაფის კარები, ნაცვლად მხიარულებისა და გართობისა ვხედავთ მწუხარებას, დამპალ იარებს, ნაცვლად საკავების ხმისა და სიცილ-ხარხარისა, გვესმის მშიერი ძალლების საზარელი ღმუილი და მათხოვრის თხერა-კვენესა. ავადმყოფი ლაზარე დიდის გაჭირვებით მიხოხდა მდიდარი და მოქეიფეს ჭიშკართან და იქვე დავარდა დაღლილი...

შემწეობის იმედმა, ბენზიერების მოპოების სურვილმა, გამგელებულმა შიმშილმა, ანუ ნასისელებით გაძლიმის სურვილმა, თუ სხვა რამ მიიყვანა საწყალი ლაზარე მდიდრის ეარებონ? ილბად ცველა ამაებს მოელოდა საბრალო; იგი წევს და წუქს, და თავის გაჭირვებას არავის არ ატყობინებს. იგი ფარულად იტანჯვის და მოთმინებით უცდის, ეგებ ცოტაოდენი ლუკმა დავარდეს მის წინ მოქეიფეთა სუფრიდგან.

მდიდარი, როგორც სჩანს იგავის აზრისაგან, იცნობს ლაზარეს და შეიძლება კიდევ დაინახა იგი თავისი სასახლის ფანჯრიდგან, მაგრამ მაშინვე მოურა თვალი. როგორც არა სასიამოვნო საგანს,

ვინაიდგან დიდი ხნიდგანცე ჩვეულებად ჰქონდა არაფერი მწუხარება არ გაეტარებია გულში, რომ ამით არ მოეშხამა, თვისი მხიარულება. ცოტა რამ კი იყო საჭირო მდიდრისათვის, რომ მას შემწეობა აღმოეჩინა ლაზარესათვის. საჭმაო იყო, რომ მდიდარს ერთი თითოეთ ეჩვენებია თავის რომელიმე მოსამსახურისათვის, რო ლარიბი შეეყვანათ სახლში, გაეთბოთ იგი და საჭმელ-სასმელი მიეცათ. მაგრამ მდიდარს თითის განძრევაც კი ეზარებოდა. ასეთია მერქნობელობა! ასე უცივებს გულს კაცი! მაგრამ არც ერთი სიტყვა საყვედურისა არ წამოცდენია ლაზარეს. მას დაავიწყდა მდიდრის ქეიფი, თავისი მწუხარებანი, მან მიაყრდნო თავისი მხედველობა ცაში იმას, ვინც ცხოვრებს იქ, და მისგან ელის შველის და მწუხარების შემსუბუქებას, ხსნას და სიმართლეს.

როგორც მდიდარის ისე ლარიბის ცხოვრება

თავდება; უოველივე ქვეყნიური წარმავალია. ორივე ჩაულაპა გაუქადლარი მიწამ. მდიდარს სიკვდილის გახსენებაზე თავზარი ეცემოდა და სისხლი უშრებოდა შიშისაგან, ხოლო მეორე—ლაზარე კი საფლავს შეჩერებოდა როგორც განსვენების ადგილს. ისე დაიხოცენ ორივენი, როგორც ცხოვრებდნენ. ერთი სიკვდილის უკანასკნელ წამამდე ცხოვრებდა ფუფუნებით, გარეშე თავისა არავინ ახსოვდა, მეორე მუდამ მწუხარებაში, მოთმენაში და თავისი ნახევრიბით გაცივებული ბაგეთი ლოცვილობდა.

განუტევა თუ არა სული ლაზარემ თავის ღარიბ სარეცელზე, მისი სილარიბის და მწუხარების მხილველმა ანგელოსებმა ალიტაცეს მისი სული ღვთის ზეციურ სასუფეველსა შინა და განისვენა წიაღშე მართალთათა. ლაზარე ღვთის სასუფეველსა შინა მყოფი ლოცვადა ყველა იმ კეთილ პირთ რომელთაც მისი გვამი გააცილეს საფლავამდე. გარ



მდიდარი და ლაზარე.

დაიცვალა მდიდარიც თავის მდიდრულ სახლებში და ძირფას საჩეცელზე. მისთვის უქმი შეიქმნა ყოველივე, სიმდიდრემ ვერ დაიხსნა იგი სიკვდილისაგან, მხედველობა მისი, რომელიც სტკეპებოდა მხიარულებით და სიმდიურით, დაიხშო. უქმი მისი ბაგენი დალუმსნენ, მგრძნობიერი ენა გაქვავდა, ტანთსაცმელი ვერ იფარავს მას საფლავის სიცივისაგან, სულმოკლე მეგობრები მოშორდნენ; მრავალი მოსამსახურენი შეუბრალებლად, შეიძლება სიხარულითაც, ყურს უგდებენ უკანასკნელ სასიკვდინეოხორა-წვალებას თავის ბატონისას.

განისვენა მდიდარმა, და დაასაფლავეს იგი მდიდრულად. მიწამ დაფარა მისი ძალზედ გასუქებული და ყუროლებული სხეული. შეიკრიბნენ მეგობრები, რომ უკანასკნელად პატივი სცენ მიცვალებულს, საფიქრებელია იმისთვისაც შეიკრიბნენ, რომ მდიდრულ გამასპინძლებას ელოდნენ. გვამი დაასაფლავეს ბნელ მიწაში, ხოლო სული სასუკუნოდ ჩავარდა ჯოჯოხეთის ქვესკნელსა შინა. მხოლოდ აქ შეიგნო მდიდარმა თავისი მგრძნობიერი და სხეისი შეუბრალებელი ცხოვრების შედეგი და არა-რაობა იმისა, რაც იტაცებდა და რასაც შეტრჭოდა. მისი სული, ქვეყნად ოლუწერელ უბედურებასა შინა მყოფი, ცდილობს როგორმე განთავისუფლდეს ამ უბედურებისაგან, ან ცოტათი მაინც შეიმსუბუქოს ეს უბედურება, მან აღინილა თავისი მწუხარე მხედველობა ცისაკენ და ღვთისა სასუფეველსა შინა დაინახა აბრამი და ღარიბი ღაზარე. რა ფულს გაიმეტებდა ეზლა მდიდარი, რომ როგორიმ გზით ლაზარეს გვერდით მოეპოვა ადგილი; მაგრამ გვიანდა იყო. დრო შრომისა და ქველის საქმეთა დასრულდა; დადგა მკის დრო, მაგრამ მდიდარს მოსამკელი არაფერი არა ჰქონდა; ყოველივე ის, რისთვისაც მდიდარი შრომბდა ქვეყნაზე ცხოვრების დროს, ლპებოდა საფლავში და მატლები სჭამდნენ, ხოლო საბრალო სულმა კი, რომელიც უკვდავია და რომელიც დაფარული და მიძინებული იყო მგრძნობელობით, მხოლოდ ახლა გაიღვიძა თავისი დამლუპველი ძილისაგან და ითმენს აუტანელ ტანჯვათა. „მამაო, აბრამ, შემიწყალე მე, ევედრებოდა მდიდარი, მოავლინე ჩემდა ლაზარე, რათა დააწოს მწურვალი თითისა თვისისა წყალსა და განმიგრილს ენად ჩემი, რამეთუ ვიტანჯები მე აღითა ამით ცეცხლისათა“. აი სწორეთ ღვთის ბრძული მართლ-

მსაჯულება! ენა, როგორც ყველაზე უფრო მიმზიდველი გრძნობიერების სიტემობისა, სხეულის ყველა ნაწილებზე უფრო ხურდება.

„შეილო, ესმის მდიდარს პასუხი ღვთის სასუფევლისაგან, მოიხსენე, რამეთუ მიიღე კეთილი შენი ცხოვრებასა შინა“... შენ უკვე იგემე ქვეყანაზე ყოველივე სიკეო, გაატარე დრო ფუფუნებისა და განცხრომაში და ამან ჩავაგდო შენ ჯოჯოხეთში, სადაც შენ წვალობ; ლაზარე კი, რომელიც გაიწმინდა უბედურებით, მოთმინებით, მოვიდა აქ, რათა ნუგეშის ცემულ იქნეს. „და ამას ყოველთა თანა, რქვა აბრაამმა: შორის ჩვენისა და შენსა დანახეთქი დიდი დამტკიცებულ არს“. ამ უფსკრულის გავლა არ შეუძლია ნეტარ სულს, წარმომადგენელს ღვთის სასუფევლისას და მოვიდეს თქვენს ბნელს უფსკრულში, აგრეთვე არც გრძნობათა და ფუფუნებითი ცხოვრების მოტრუიალე მონის სულს შეუძლია ჯოჯოხეთიდგან მოვიდეს აქ, ღვთის სასუფეველსა შინა. წვალებასა შინა მყოფი მდიდარი პასუხს ველო აძლევს აბრაამს; უეჭველია, ისიც კარგად გრძნობდა, რომ მისი ცოდვილი სული ღირსი არ იყო ღვთის სასუფევლისა, ოლონდ აბრაამს ახსენებს თავის ძმებს, რომელნიც ჯერ კიდევ ქვეყნად ცხოვრებენ და ეძლევიან ყოველგვარ განცხრომას.

მდიდარი ეუბნება აბრაამს: «გლოცავ, შენ, მამაო, მიავლინე ეგე—ლაზარე სახლსა მამისა ჩემისასა, რამეთუ მიხსენე ხუთნი ძმანი, რათა აუწყოს მათ, და არა მოვიდენ იგინიც ადგილსა ამას სატანჯველისასა“...

აბრაამმა რქვა მდიდარს: „მათ ჰყვანან მოსე და წინასწარმეტყველნი, მათი ისმინონ. უკეთუ მოსესი და წინასწარმეტყველთა არა ისმინონ, არცალა მკვდრეობით თუ ვინმე აღსდგეს, რწმენეს მათ“. მართლაც ხმა სალმრთო წერილისა არის ხმა ღვთისა, ხმა იმა ქვეყნისა, სადაც ნეტარებდა ლაზარე და თუ ამ ქვეყნიური ცხოვრების სიამოვნებასა და განცხრომასა შინა მყოფელნი არ ისმენენ ამ ხმას, არც იმ ქვეყნიდან მოსულთა სიტყვები მოხვდება მათ გულს და მათ ცხოვრებასაც ვერ შესცვლის. ამიტომაც ფუჭი იქნებოდა ლაზარეს მისვლა მდიდრის ძმებთან. გაბოროტებულმა იუდელებმა, რომელთაც არ შეისმინეს ვნებამდე და სიკვდილიმდე მათ შორის მცხოვრები იგსოს სწავლა-მოძღვრება, შემდეგ არც მკვდრეობით აღდგომილი

იქსოსი ისმინდეს; პირიქით, თვით იმ ამბავის, რომ  
ქრისტე აღსდგაო, გაქარწყლება, დაფარვა და  
გადასხვაფერება სურდათ.

უფალმა დაასრულა თავისი იგავი, რომელშიაც  
ცხადით დახატა, თუ რა მნიშვნელობა. იქვს კაცის  
ქვეყნად ასე თუ ისე ცხოვრებას მისი სულისათვის  
გარდაცვალების შემდევ. მთელს ქვეყანას დაუმტ-  
კიცა მან, რომ მერჩნობელობას, რომელსაც თან  
სდევს გულცივობა, მიჰყავს კაცი სიკვდილის შემ-  
დევ ჯოჯოხეთში, ხოლო მწუხარებათ, თუ მათ  
კაცი აიტანს მოთმინებით და მორჩილებით, რო-  
მელნიც ყვავილნი არიან კაცის ზნეობრივი ამაღ-  
ლებისა, კაცი მიჰყავს ზეცათა შინა,—სასუფეველში.  
მახარებელმა თავისი წიგნის გვერდებზე დაგვიტევა  
ჩვენ ეს ძეირფასი გაკვეთილი მაცხოვრისა. რა კარგი  
იქნებოდა, რომ ჩვენ ჩვეულებად გაგვეხადა ყოველ  
დღეს, დილის განთიადის დროს და სალამობით,  
ე. ი. მოქმედების დაწყების და გათავების დროს  
წარმოვადგენდეთ გონებაში უბედურს მდიდარს და  
ნეტარ ლაზარეს: ნუ თუ თვალშინ არ დაგვეხატება  
მაშინ ამაო ქვეყნის სიამოვნებათა არარაობა და  
სულისათვის მათი დამლუსველი შედეგი? და ამ  
ჭიუის მასწავლებელი იგავისაგან ვისი გული არ  
გაიღვიძებს, არ აღინთება, ვისი მწუხარება არ და-  
ყუჩიდება და ვისი სული არ იგრძნობს, რომ საჭი-  
როა სულიერად ცხოვრება?!

## სახელმძღვანელო, საქაურიადლებო, საჭირო და სასარგებლო ცხობათა განცხავილება.

### საეჭვო კითხების განმარტება.

**კითხვა.** ხშირად მოხდება, რომ თხოვილობენ იმ  
საბუთებს, რომელნიც წარმოდგენილნი არიან  
გვირგვინის კურთხევის შესრულების დროს  
და ინახებიან ობისკის წიგნში. ამისთან

საბუთებია მაგ. მეტრიკული მოწმობა, პასპორ-  
ტი და სხ. ამ შემთხვევაში მღვდელმა უნდა  
დაიტოვოს პირი ამ საბუთებისა და ნამდვი-  
ლები კი უნდა მისცეს. საჭიროა თუ არა ამ  
პირებისათვის ოთხ აბაზიანი მარჯა?

**მიგება.** პირველიც უნდა ვიქონიოთ სახეში ის, რომ  
გერბის ფულების გარდასახადის წესდებულებით  
საზოგადოდ გერბის მარკები ითხოვება იმის-  
თანა საბუთების პირებისათვის, რომელნიც  
უმარკოდ არ მიეცემიან. ამას ამბობს უწმილ ე-  
სი სინოდის განჩინება, გამოც. 30 სექტემბ-  
რიდან 1877 წ., № 1413. ამისათვის, თუ  
გვირგვინის კურთხევის დროს წარმოდგენილი  
იყო ნამდვილი მეტრიკული მოწმობა დაბადე-  
ბისა, გვირგვინის კურთხევისა და გარდაცვა-  
ლებისა, რასაკვირველია, ამ საბუობის პირები  
დაშთენილი ობისკის წიგნში ჩასაკერებლად,  
უნდა იყოს ოთხ აბაზიანი მარკებით გარდახ-  
დილი. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ ისიც,  
რომ ამას წინეთ უწმ. სინოდმა უქაზით გან-  
მარტა, რომ მაინც და მაინც აუცილებელი  
საჭირო არ არის მეტრიკული მოწმობა გვირ-  
გვინის კურთხევის შესრულებისათვის. მართლა,  
რა საჭიროა, მაგალითებრ, სხვა საჭირო მოწ-  
მობებთან კიდევ განსაკუთრებითი მეტრიკული  
მოწმობის მოთხოვნა, როცა არავითარი ეჭვი  
არ არის წლოვანების შესახებ?

**კითხვა.** არის თუ არა საზოგადო კანონი იმის შე-  
სახებ, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა  
ჰქონდეს მრავალ წევრებიან ეკკლესიის კრე-  
ბულო ერთმანეთ შორის?

**მიგება.** საზოგადო წესდებულება ამგვარი არ არის,  
მაგრამ ხელმძღვანელობენ იმ წეს-წყობილე-  
ბით, რომელიც სუფევს ხევა და სხვა აღგი-  
ლებში ღიღი ხნიდან.

**კითხვა.** გამოცხადებული იყო, რომ მასწავლებელთა  
შვილები თავისუფალნა არიან სწავლის უფ-  
ლების გადასახადისაგან, მაგრამ ზოგ აღგი-  
ლას ამ ფულს აზღვინებენ და კანონიერია ეს  
თუ არა?

**მიგება.** სწავლის უფლების ფულის გარდასახადისაგან  
თავისუფალნი არიან უწმ. სინოდის უქაზის  
ძალით, გამოც. 24 ივლისიდან 1897 წ. №  
2325 მხოლოდ იმ მასწავლებელთა შვილები,

რომელთაც უმსახურნიათ არა ნაკლებ ათი წლ. სასარგებლოდ და ისიც არ უნდა დაივიწყოთ, რომ განთავისუფლებულნი იქმნებიან მხოლოდ სასულიერო უწყების სასწავლებლებში და არა საერთო და სამინისტროში.

**კითხვა.** არის ორ სართულიანი საკრებულო სახლი, მაღლა სართულში დგავს უფროსი მღვდელი, დაბლა სართული მეორე მღვდელს უნდა ჰქონდეს. მღვდელი რომ თავის საკუთარს სახლში იღეს, ან არ დადგეს საკრებულო სახლში და ეს სახლი რომ გაქირავებული იყოს, მეორე მღვდელს არ ეკუთვნის სახლის ქირა?

**მიგება.** თუ საკრებულო სახლში თვითონ მღვდელი არა დგას, მაშინ ამ სახლიდან შემოსული ქირა უნდა მიღიოდეს ეკკლესიის სასარგებლოდ და არა მღვდლისა.

### ჩელაჩცის პასუხი.

**მასწ.** გამ. ბედე—შეიღს. ჩვენს ეხლანდელ მღვდელობაში ძლიერ ძნელია კაცმა გაიგო შენი შოვალეობის წესდებულება. განსაკუთრებით სამოსწავლო ასპარეზზედ. ვერავითარი განმარტება მიზანს ვერ მიაღწევს...

**მდგ.** პ. ევარაცელიას. თქვენი წერილი სამღვდელოების კრებაზე დაგვიანებულია. ამას გარდა კრებაზე რა მსჯელობა იყო, ამის შესახებ არა არის რა სტატიაში. მთელი სტატია ქებითი შესხმის უმნიშვნელო სიტყვას აქვს დაჭრილი.

**მთავარ-დიაკ.** ე. შ—ა. თქვენი საეჭვო კითხვები განმარტებულია ჩვენგან წინეთ.

### შეწირულებანი.

მათა რედაქტორი! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიძოძოთ, რომ თქვენის პატივცემული გაზეთის „მწეუმსი“-ს საშუალებით უდრმესი მაღლობა შევსწიროთ როვორც პირადათ მე, აკრთვე ჭიათურის მცხოვრებთა საზოგადოების მაგიერ მურავნის მაზრის შავი ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს, რომელმაც გეოთილ—ინება და ამ მიმღინარე წელში აღმოუჩნა ჭიათურის

საეკკლესიო-სამრევლო სკოლას შემდეგი დახმარება და შემწეობა:

შემოწირა «ქართველთა ტომის აღბომი» ს. როსტომაშვილის გამოცემა და 58 ცალი სხვა და სხვა საყმაწვილო და ზნებრივი შინაარსის ქართული წიგნებს უდით—თხზულებანი და გამოცემა ბ. ბ. აკაკისა, იაკობ გოგებაშვილისა, ჭეკანაზის მამა დავით დამბაშიძისა და ივანე როსტომაშვილის,—ლირებული 19 მანეთის და 50 გარ., ამასთანავე გამოუწერა სკოლას საყმაწვილო ქურნალი „ჯეჯილი“ ათი მანეთის ორი წლით 1899—1900 წ., რომელსაც უკვე დებულობს სკოლა და გადაც კავკაზიის „ეტნოგრაფიული კარტა“, მიბოძა მე, როვორც უჯამაგირო მასწავლებელს, ერთუამიერ შემწეობათ თორმეტი თუმანი ფული; ესაჭიროებოდა სკოლას შეგეთება და კადეც აკეთებს პატივცემული საბჭო, რომელიც ჯდება არა ნაკლებ ას-ორმოც-და-ათი მანეთისა.

ჭიათურის საეკკლესიო სამრევლო სკოლის მასწავლებელი ბესარიონ გაშაძე.

### ჩელაჯილისაგან.

«მწეუმსი»-ს რედაქცია უმორჩილესად თხოვს უკელა თავის ხელის მომწერთ, რომელთაც ჯერეთ კიდევ არ გამოუგზავნიათ ამ წლის გაზეთის ფასი, დაუჩქარონ გამოგზავნას. ამასთან რედაქცია უკელას საცხობლად აცხადებს, რომ 1899 წლის „მწეუმსხე“ ხელის მომწერთათვის დაპირებული საჩუქარი — სურათები ზოგს უკვე გაეგზავნა და ზოგსაც მალე ვაევზავნება საფოსტო ქალაქებში; სახელმობრ: სიღნაღმი ჩვენი ხელის მომწერნი ამ საჩუქრებს მიიღებენ ბლადოჩინის მღვდლის კირილე ლვოისავაროვისავან, ქ. თელავი—ფოსტის ქანტორის მოსამსახურე ბ. ტ. ინასარემასავან, ცაგერში—ბლად. მღვდლის მ. ალექსანდრე გერსამიასავან, რაჭის და მორაპნის მაზრების და აგრეთვე ქუთაისის მაზრე-

ბის ზოგიერთი სამღვდელოება მიიღებენ თა-  
ვიანთი ბლადოჩინებისაგან. ახალ სენაქში  
მიიღებენ ბლად. მდ. მ. არისტარხოს კალან-  
დარიძვილისაგან, ლანჩხუთში ბლად. მღვდლის  
მ. ეპიფანე ჩხაიძისაგან, ოზურგეთში—მღვდ.  
მამა დავით დუმბაძისაგან, ხონში—მღვდლის  
მამა იოსებ კაკაბაძისაგან. რაც შეეხება და-  
ნარჩენ სამღვდელოებას, რედაქცია კცდება,  
რომ მიაწოდოს სსენებული საჩუქრები და  
ზოგს თვითონ ხელის მომწერთა სთხოვს  
მოიკითხონ ქ. ქუთაისში საეკლესით სანთ-  
ლის საწეობში.

დებიან ემაწვილები გიმნაზიისათვის, რეალური,  
სასულიერო, სამეურნეო, სამოქალაქო და სხვა  
სახწავლებლებისათვის. გარდა ამისა მივაქცევთ  
სამღვდელოების ურადღებას ამ სახწავლებელ-  
ზედ იმ მხრით, რომ საღამოობით, ნაშეად-  
ღვის 2 საათ. 8 საათამდე, აյ იქნება გამარ-  
თული რეპეტიციები ქუთაისის სასულიერო  
სახწავლებლის სუსტ მოსწავლეთათვის, რო-  
მელთაც, გამოცდილი მასწავლებლების დამა-  
რებით, მოკლე დროში მეუძღიათ გაისწორონ  
ცუდი ნიშნები სახწავლი საგნებში. რეპეტი-  
ციები ნება დართულია სასულიერო სახწავ-  
ლებლის სამმართველოსაგან. მასწავლებლე-  
ბად მოწვეული არიან ბა. ხ. მატარაძე, ნიკ-  
ესხი, ალ. მუსტაფავარ სახწავლი სახწა-  
ვლო გადასახად არის საგნის მიხედვით 3 მან.  
5 მანეთამდე.

სახწავლებლის გამგე დანართის ჩამოყალიბების მიზანის მიხედვით 3 მან.

## განცემები.

მომავალი 1900 წლის იანვრიდამ იხსნე-  
ბა ქ. ქუთაისში, არქიერის კორაზე, კერძო  
სახწავლებელი. ამ სახწავლებელი მომზად-

## მოაპარა

(წელიწადი შეშვადე)

გამოვა ერველ თვის პირველ რიცხვებში

ფასი უურნალისა გაგზავნით:

1 წლით 6 3 თვით

10 მანეთი 6 4 მანეთი

საზღვარ გარეთ წლიურად 13 მან.

წლიური ფასი მეიძღება განაწილდეს.

პირველად — 5 მანეთი, 1-ლ აპრილამდე — 3 მან.

და 1-ლ სექტემბრამდე — 2 მან.

რედაქტო. ალ. ჭეთია. გამომც. ალ. ჭაბადარი

განცხადების ფასი გაზეთში: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ., მეოთხეზე — 5 კ.

ვინც „მოაპარა“-ს ერთის წლით გამოიწერს, „ცნობის ცურც.“ მუქთად დაეთმობა.

აღრესი: თიფლის. რედაქცია „მოაპარა“ და „ცნობის ცურც.“

## 1900 წ.

## ცნობის ცურცელი

(წელიწადი შეხუთე)

გამოვა ერველდღე, კვირა-უქმების შემდეგაც

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით

6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მან. 75 კ.

საზღვარ გარეთ წლიურად 8 მანეთი.



საპალიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო  
ნახატებისანი გაზეთი

## „გვალი“

გამოვა 1900 წელში ყოველ კვირაში ერთხელ  
ერთოდგან სამ თაბახამდის.

იმავე პროგრამით, როგორც 1899 წ.

რედაქციისაგან: ახალი წლიდან «გვალი»

მიემარება ახალი განეოფილებები, რისთვისაც  
შედგა მუდმივ თანამშრომელთა სარედაქციო წრე.

გაზეთი წლიურად ელირება გაუგზავნელად 7 მან.,  
ხოლო გაფარგვით 8 მან. ნახევარის წლისა გაუ-  
გზავნელად სამი მან. და ათი შაური, გაფარგვით  
ოთხი მანეთი; სამი თეთისა გაუგზავნელად ორი მან.,  
გაფარგვით 2 მან. 50 კ. თითო ნომერი საშაურათ.  
ხელისმომწერლებს წლის ფული შეუძლიათ გამოგ-  
ზავნონ ნაწილ ნაწილათ.

ხელის მოწერა მიღება თბილისში: «წერა-კით-  
ხების გამარტიულებები საზოგადოების კანცელარიაში»  
(სასახლის ქ., სათავალ-აზ. ქან.) და თეთი «კვა-  
ლის რედაქციაში—არტილერია: ქ., № 5, კადეტის  
კურსების ახლო.

ფოსტის აღრესი: თიფლის. რედაქცია „ქვალი“

## „ქვალი“

თაღისაღი მ. 11-თა

გამოვა 1900 წელსაც თვეში ერთხელ იმავე

პროგრამით, როგორაც კაქ-შედება

ქურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის  
საეპარქიისა და კავკასიის თავისის სამოსწავლო  
რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველებში  
საკითხავად.

ეჭურნალი „ჯეჯილი“ თბილიში დატარებით  
ელირება—4 მანეთი, თბილის გარეშე გაფარგვით 5 მან.

ცალკე ნომრის ფასი თეთის 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და  
ნახევარის წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1. თაღისში — «წერა-კითხების საზოგადოების»  
კანცელარიაში და თეთი «ჯეჯილის» რედაქციაში,  
(არტილერია: ქ. № 5, კადეტთა კურსების ახლო).

ფოსტის აღრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію  
грузинскаго дѣтскаго журнала «Джеджили».

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ვ. ვამბაშვილი.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 20 декабря 1899 г. ♦ Цензоръ прот. Е. Еліевъ

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисъ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.

## „ივანი“

1900 წელსაც გამოვა ეოველ-დღე, გარდა იმ  
დღეებისა, რომელიც ზედ მოხდეს კვირა-  
უქმებს.

ფასი გაზეთია:

12 თვეთ . . .	10 ა. — ქ.	6	»	. . .	6 ა. » ქ.
11 » . . .	9 » 50 »	5	»	. . .	5 » 50
10 » . . .	8 » 75 »	4	»	. . .	4 » 75
9 » . . .	8 » — »	3	»	. . .	3 » 50
8 » . . .	7 » 25 »	2	»	. . .	2 » 75
7 » . . .	6 » 50 »	1	»	. . .	1 „ 50

საზღვარ გარეთ დაბარებული ელირება 17  
მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ  
«ვერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

ტფილისის გარედ მცხოვრები უნდა დაი-  
ბარონ გაზეთი შემდეგის აღრესით: თიფლის,  
რედაქცია «Иверия».

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილის გარეშე  
აღრესზედ შესცვალა ვინემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში  
ერთი მან.; ხოლო თუ ტფილისის გარეშე ხელის მომწერელი  
ერთის აღილიდგან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოგზავნოს  
ამი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინემ  
გაზეთი არა მთელის წლით, მას გაზეთი გავ-  
ზავნება პირველ იმ თვისგან, რომელსაც და-  
ბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გა-  
ზეთის რედაქციაში.

### ვასი განცხადებისა:

მეოთხე გვ. თოთოვერ სტრიქ.—8 კ., პირველზედ—1 6 კაპ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ  
ხელნ-წერებისა და წერილების მესახებ რეზაქ-  
ცია არა ჭიათულობს.

პირისპირ მოსალაპარაგებლად რეზაქცია  
თავისუფალი იქნება უკველ-დღე, კვირა-უქმებს  
გარდა, ნამუსადევის პირველ საათიდგან სამ  
საათამდე.

### რედაქცია იმპოზება:

ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

რედაქტორის მომცემელი იდია ჭავჭავაძე.